თეიმურაზ აჩუგბა

აფხაზთა დასახლება აჭარაში

ბათუმი
1988

თეიმურაზ აჩუგბა

აფხაზთა დასახლება აჭარაში

გამომცემლობა
„საბჭოთა აჭარა“
ბათუმი
1988

635 (2Г)
ა-94

ნაშრომში წერილობითი წყაროებისა და საველე-ეთნოგრაფიული მასალების შუქზე შესწავლილია აჭარაში აფხაზების დასახლების მიზეზები, დრო და პირობები, განხილულია აჭარაში მცხოვრები აფხაზების გვართა წარმომავლობის საკითხები.

რედაქტორი: პროფ. **დ. ხახუტაიშვილი.**

©გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“ — 1988.

Ა $\frac{0508000000-006}{М\ 621(08)-88}$ 22—1988.

აფხაზთა დასახლება აჭარაში

„ხალხი თავის ათას-წლობით დამკვიდრებულ ბინიდამ იშლება და მიდისო... ეს დაუჯერებელი, ტვინის შემარყეველი ამბავი მხოლოდ შეიძლება მაშინ მოხდეს, როცა ხალხს ეტყვიან, ან აქ სიკვდილი, ან იქ სიცოცხლეო“.

ილია ჭავჭავაძე.

აჭარა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მრავალეროვანი ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაა. აქ ქართველების მხარდამხარ, ერთიან ძმურ ოჯახად ცხოვრობენ და შრომობენ რუსები, სომხები, ბერძნები, უკრაინელები, აფხაზები, აზერბაიჯანლები და სხვები, სულ 80-მდე ერისა და ეროვნების წარმომადგენელი. წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები ერთ-ერთი ეთნიკური ჯგუფის—აფხაზების წინაპართა აჭარაში დასახლების ისტორიას.

აჭარაში აფხაზთა დასახლების, მათი ყოფისა და კულტურის შესახებ საინტერესო მასალები დაცულია რევოლუციამდელი ავტორების დ. ბაქრაძის, გ. ყაზბეგის, თ. სახოკიას, ზ. ჭიჭინაძის, ა. ფრენკელის, ჯ. პალგრევისა და სხვათა შრომებში,[1] ქართულ და რუსულ პერიოდიკაში („დროება“,

---

1 **Д. З. Бакрадзе,** Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПБ.,, 1878: გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ, ბათუმი, 1960; **ზ. ჭიჭინაძე,** ქართველ მაჰმადიანთ დიდი გადასახლება ოსმალეთში. მუჰაჯირი — ემიგრაცია, თფილისი, 1912; თ. სახოკია, მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), ბათუმი, 1985; **А. Френкель,** Очерки Чурук-су и Батума, Тифлис, 1879; «Материалы для описания Азиатской Турции и Батумской области». Отчеты **Дж. Пальгрева** о провинциях Анатолии за 1867—1868, 1869 и 1872 годы, Тифлис 1882.

„ივერია“, „კვალი“, „კავკაზ“ და სხვ.), აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივებში. აჭარაში აფხაზთა დასახლების ისტორიაზე საინტერესო საკითხებია განხილული გ. ძიძარიას, შ. ინალ-იფას, ჭ. ჭოლოყვას, ხ. ბლაჟბას, ს. ზუხბას და საბჭოთა პერიოდის სხვა მკვლევართა ნაშრომებში.[2] აჭარაში მცხოვრებ აფხაზებს სპეციალური გამოკვლევები უძღვნეს გ. კოპეშავიძემ და ე. კილბამ. პირველმა მონოგრაფიულად შეისწავლა აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა კულტურისა და ყოფის საკითხები, ხოლო მეორემ — მეტყველების თავისებურებანი.[3] ამ ნაშრომებში აჭარაში აფხაზთა დასახლების საკითხებსაც გარკვეული ადგილი დაეთმო.

ჩვენს ხელთ არსებული საარქივო, ლიტერატურული და საველე-ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ აჭარაში აფხაზების დასახლება XIX ს. პირველ ნახევარში დაიწყო[4] მაგრამ მან მასიური ხასიათი მიიღო გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, რაც მუჰაჯირობის* პერიოდთან არის დაკავშირებული. მუჰაჯირობა ყველაზე ტრაგიკულ მოვლენადაა მიჩნეული აფხაზი და კავკასიის სხვა ხალხების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. მუჰაჯირობა, — წერს შ. ინალ-იფა, — ეს არის არა უბრალო უბედური ეპიზოდი, არა-

2 ჭ. ჭოლოყვა, აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა ეთნოგრაფიული ყოფა, აჭარის ასსრ სახ. მუზეუმი, ფ. 255, 1936 (ხელნაწერი); **Г. А. Дзидзария,** Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухуми, 1982; **Ш. Д. Инал-Ипа,** Абхазы, Сухуми, 1965; **Х. С. Бгажба,** Этюды и исследования, Сухуми, 1974; **С. Л. Зухба,** Из современного быта аджарских абхазов, Сб., Современное абхазское село. Этнографические очерки, Тбилиси, 1967 (აფხ. ენაზე).

3 **Г. Г. Копешавидзе.** Быт и культура абхазов, проживающих в Аджарии, Тбилиси, 1985; **Э. К. Килба.** Особенности речи батумских абхазов, Тбилиси, 1982.

4 **ზ. ჭიჭინაძე,** დასახ. ნაშრ., გვ. 169.

* არაბული წარმოშობის სიტყვა მ უ ჰ ა ჯ ე რ ე თ გადასახლებას, ემიგრაციას ნიშნავს (Турецко-русский словарь, М., 1977, с. 636), მაგრამ აფხაზურ, ჩერქეზულ და კავკასიის სხვა ხალხთა ენებზე ამ ტერმინმა ძირითადად ძალდატანებით გადასახლებულთა, სამშობლოდან დევნილთა, ლტოლვილთა მნიშვნელობა შეიძინა.

მედ უმძიმესი ეროვნული ტრაგედია, რამაც გამოიწვია აფხაზთა სწრაფი შემცირება თავისსავე სამშობლოში და დააყენა აფხაზი ხალხი ფიზიკური განადგურების საშიშროების წინაშე.[5] ეს საკითხი მონოგრაფიულად არის შესწავლილი გ. ძიძარიას რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ გამოკვლევაში „მაჰაჯირობა და XIX ს. აფხაზეთის ისტორიის პრობლემები“ (სოხუმი, 1982).

ცნობილია, რომ კავკასია და მათ შორის აფხაზეთი უძველესი პერიოდიდან წარმოადგენდა სხვადასხვა ჯურის აგრესორთა შემოსევების ობიექტს. ელინები, რომაელები, სპარსელები, არაბები, ოსმალები და სხვ. გამუდმებით ეწეოდნენ დამპყრობლურ ომებს აფხაზი და სხვა ხალხების დასამონებლად. მე-19 ს. დასაწყისში, კერძოდ, 1810 წელს აფხაზეთის სამთავრო ოფიციალურად შევიდა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში, რითაც შეიძინა მფარველი გარეშე მტრების შემოსევებისაგან. მაგრამ ამ აქტით არ დასრულებულა აფხაზთა შფოთიანი ცხოვრება. როდესაც აფხაზეთის მთავარმა გიორგი შერვაშიძემ (ჩაჩბა) და დიდებულთა ნაწილმა აღიარეს ცარიზმის პროტექტორობა, მოსახლეობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით გლეხობა გამოვიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ანუ ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ხალხთა საპყრობილეში“ მოქცევის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, აფხაზეთის ზოგიერთი მთის რეგიონის (საძენი, დალი (დალ), წებელდა (წაბალ) და სხვ.) მოსახლეობა არა თუ რუსეთის, აფხაზეთის მთავრის ხელისუფლებასაც არ ცნობდა ცარიზმს არ ემორჩილებოდნენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის სხვა ხალხებიც. ამგვარმა პოლიტიკურმა ვითარებამ რუსეთის მთავრობა აიძულა დროებით ხელუხლებლად დაეტოვებინა აფხაზეთის მთავრის ხელისუფლებასაც არ ცნობდა, ცარიზმს თანდათანობით დაემორჩილებინა და დაეყმევებინა აფხაზი ხალხი.

ხალხის წინააღმდეგობის დათრგუნვის, მხარის კოლონიზაციის მიზანს ემსახურებოდა იმ ციხე-სიმაგრეთა და სამხედრო საგუშაგოთა ფართო ქსელი, რომლითაც ზღვის სა-

5 **Ш. Д. Инал-Ипа,** დასახ. ნაშრ., გვ. 150.

ნაპირო და ნაწილობრივ ქვეყნის შიგა რაიონები დაიფარა. აფხაზეთი შევიდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სანაპირო სიმაგრეთა ხაზის ე. წ. „მესამე ზოლში“. იგი ერთიანებდა გაგრის, ბიჭვინთის, ბამბორის, მრამბის (წებელდაში) სიმაგრეებს, სოხუმის ციხე-სიმაგრეს, აგრეთვე დრანდის, კუტოლისა და ილორის საგუშაგოებს. ზღვისპირეთის სამხედრო სიმაგრეებს შორის კავშირის დასამყარებლად შეიქმნა საგანგებო ფლოტილია, რომელსაც საბრძოლო ოპერაციების განხორციელებისას დახმარებას უწევდა შავი ზღვის ფლოტი.[6] კავკასიის მთავარმართებლობა აფხაზეთში ჩაყენებული ჯარნიზონების მეშვეობით კონტროლს უწევდა მთავრის ხელისუფლებას და მკაცრი ღონისძიებების ჯატარებით ცდილობდა აფხაზეთის დამორჩილებას. ამასთან აფხაზეთი, როგორც აღნიშნავდა აკად. ს. ჯანაშია, გადაქცეულ იქნა ერთ-ერთ ბაზად დასავლეთ კავკასიის თავისუფლებისათვის მებრძოლი ტომების წინააღმდეგ საბრძოლველად.[7]

მოსახლეობის ფართო მასები ვერ ურიგდებოდნენ რუსეთის კოლონიურ მიზნებს და თავგამოდებით იბრძოდნენ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. მე-19 საუკუნის აფხაზეთის ისტორია იცნობს არა ერთ სახალხო შეიარაღებულ გამოსვლას, რომელიც მეფის რუსეთის სამხედრო ნაწილებმა სისხლში ჩაახშვეს. მოვიყვანთ ზოგიერთ ფაქტს. 1821 წელს აფხაზეთში იფეთქა აჯანყებამ, რომელმაც აშკარა ანტიკოლონიური ხასიათი მიიღო. ქართველი ისტორიკოსის ნიკო დადიანის ცნობით, სამხედრო ექსპედიციამ გენერალ მ. გორჩაკოვის მეთაურობით ცეცხლში გახვია სოხუმი და მისი შემოგარენი სოფლები. დიდი უბედურება დაატყდა თავს მხარის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონსაც. მდ. ბზიფის მარცხენა სანაპიროზე მეფის ჯარებმა მრავალი დასახლებული პუნქტი გააპარტახეს და ხალხის დასაშინებლად რამდენიმე აჯანყებული ჩამოახრჩვეს. 1824 წელს აფხაზეთში კვლავ იფეთქა აჯანყებამ, რომელიც არანაკლები სისასტიკით იქნა დათრგუნვილი. 1837 წელს აჯანყებული წებელდა დალაშქრა კავკასიის ჯარების მთავარსარდალმა ბარონმა გ. როზენმა. 1840-1841 წლების დეკემბერ-იანვარში პოლკოვნიკმა ნ. მურავიოვმა, მისივე სიტყვებით, გაუგონარი დაუნდობლობით ააწიოკა დალის თემი, რისთვისაც გენერლის ჩინი ებოძა. 1841-1842 წლებში ანტიკოლონიურ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა იმავე დალში, წებელდაში, ასევე გუმაში, ჯგერდაში, ჭლოუში, ფსხუში და სხვა მხარეებში, რომლებიც რუსეთის ჯარის ნაწილებმა სისხლში ჩაახშვეს.[8] 1846 წელს კვლავ გააქტიურდნენ დალი და წებელდა.[9] 1850 წელს აჯანყდა გუფისა და ჭლოუს ბლეხობა. 1859 წელს ფსხუელებს დიდი რაზმით შეესია აფხაზეთში მყოფი ჯარების სარდალი გენერალი მ. ლორის-მელიქოვი. მომდევნო წელს ფსხუელები კვლავ დალაშქრეს სამი ათასი კაცისაგან შემდგარი რაზმით. აჯანყებულთ დახმარების ხელი გაუწოდეს როგორც ზღვისპირა, ისე მთის საძებმა, მაგრამ ამბოხებულები ამჯერადაც დამარცხდნენ. დამსჯელმა რაზმებმა არ აპატიეს საძებს ფსხუელებზე სამხედრო დახმარება და ხშირი თავდასხმების გამო სოჭისა (აფხ. შვაჩვა) და ადლერის მიდამოებში მცხოვრები მოსახლეობის ნაწილი (განსაკუთრებით ფეოდალური გვარის არდბას ქვეშევრდომები) იძულებული გახდა მიეტოვებინა იქაურობა და მთიანი რაიონებისათვის შეეფარებინა თავი.[10]

სახალხო მოძრაობის წარუმატებლობის მიუხედავად, მოსახლეობა იყენებდა ყოველ მოხერხებულ შემთხვევას, რათა თავად გადასულიყო შეტევაზე და საპასუხო დარტყმა მიეყენებინა მოძალადეებისათვის. ასე, მაგალითად, მარტო 1846 წელს მთიელებმა აფხაზეთის ზღვისპირეთში განლაგებულ სიმაგრეებზე მოაწყვეს 88 თავდასხმა.[11] 1857 წლის მაისში საძებმა იერიში მიიტანეს გაგრის ციხე-სიმაგრეზე. საძებთან ერთად აქ აფხაზების მონათესავე უბიხების რაზმებიც იბრძოდნენ.

---

6 **Г. А. Дзидзария**, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

7 **ს. ჯანაშია, გიორგი შარვაშიძე**, ლირიკა, ეპოსი, დრამა. თბ., 1985, გვ. 4.

8 **Г. А. Дзидзария**, დასახ. ნაშრ., გვ. 55, 69-70.

9 **Г. А. Дзидзария**, Присоединение Абхазии к России и его историческое значение, Сухуми, 1960, с. 196.

10 Акты собранные Кавказской археографической комиссией (შემდეგ АКАК), т. II, ч. II, с. 861-865.

11 **Г. А. Дзирдзария**, Присоединение... с. 196.

აფხაზური ოჯახი, XIX ს. II ნახევარი.

იმავე წლის ივნისში ადლერის მიდამოებში გამართულ ბრძოლებში ხუთი ათასი მთიელი იბრძოდა. 1859 წელს კი საძები კვლავ უტევენ გაგრას. მეორე წელს გაგრის ციხესიმაგრის უფროსი იტყობინებოდა, რომ სოჭის რაიონში მთიელები ამზადებენ 25-მდე საბრძოლო ნავს, რომლითაც ცდილობენ დესანტის გადასხმას გაგრა-ბიჭვინთის რაიონში.[12] ამ პერიოდისათვის, როგორც ზემოხსენებული ფაქტებიც მეტყველებენ, ცარიზმის პოზიციები აფხაზეთში იმდენად

12 **Г. А. Дзидзария**, Махаджирство... с. 184.

უიმედო ხდება, რომ გენერალი გ. ფილიპსონი, აფხაზეთში მყოფი რუსის ჯარის ყოფილი სარდალი, 1858 წელს ამბობდა: „რუსის ჯარისკაცს არ ძალუძს ერთი ვერსითაც კი მიატოვოს ზღვისპირა სიმაგრე, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მთიელებისაგან ელოდება ან სიკვდილი ან ტყვეობაო“.[13] იმავე წელს გენერალი მ. ლორის-მელიქოვი წერდა, რომ, მართალია, რუსებმა სოხუმი 1810 წელს დაიკავეს, მაგრამ მათი გავლენა აფხაზეთზე არა თუ არ გაძლიერებულა, პირიქით — შესუსტდა. იმავე აზრისა იყო 40-იან წლებში გენერალი ი. პასკევიჩი.[14]

ბუნებრივია, კავკასიის ომი რომ არა, ამგვარ ვითარებას არ მოითმენდა და არავითარ შემთხვევაში არ აპატიებდა აფხაზ ხალხს ევროპის ჟანდარმად ქცეული რუსეთის ცარიზმი. ეს ომი რამდენიმე ათეულ წელს გრძელდებოდა და ფ. ენგელსის შეფასებით სამართლიან, განმათავისუფლებელ ხასიათს ატარებდა.[15] მაგრამ კავკასიის ომის დამთავრებისთანავე, იმავე 1864 წელს, იმპერატორმა ალექსანდრე II აფხაზეთში მთავრის ხელისუფლება გააუქმა, ხანდაზმული მთავარი მიხეილ შერვაშიძე (ჩაჩბა) ვორონეჟის გუბერნიაში გადაასახლა და აქტიურად შეუდგა რუსული ადმინისტრაციის შემოღებას, კოლონიზატორული პოლიტიკის გააქტიურებას. მაგრამ აფხაზეთის საბოლოო დამორჩილების გზაზე ცარიზმი საჭიროდ თვლიდა ეროვნული თავისუფლებისათვის ასე თავგანწირვით მებრძოლი მკვიდრი მოსახლეობის გადასახლებას იმპერიის საზღვრებს გარეთ. მართალია, ამ მზაკვრულ პოლიტიკას იგი ადრეც ახორციელებდა, მაგრამ შედარებით მორიდებით. აფხაზეთის მთავრის უფლებების ლიკვიდაციით მეფის ხელისუფლება დაასრულებდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდინარე ყუბანის შესართავიდან ბზიფამდე ყაზახ-რუსების კოლონიების შექმნის პროგრამას და შეუდგებოდა ყაზახთა ასეთივე სტანიცების მო-

13 АКАК, т. XII, ч. II, с. 777.

14 АКАК, т. XII, ч. II, с. 792.

15 **Ф. Энгельс**, Заметки о войне. К. Маркс и Ф. Энгельс, сочинения, т. 17, М., 1960, с. 200.

წყობას მდინარე ბზიფსა და ენგურს შორის.[16] ამიტომაც ამ ომის მიწურულს მეფისნაცვალი კავკასიაში იმპერატორ ალექსანდრე II პირდაპირ წერდა, რომ საჭიროა ენერგიული მოქმედება, რათა კავკასიის შავიზღვისპირეთი საბოლოოდ „გაიწმინდოს“ მკვიდრი მოსახლეობისაგან. იგი ამ ბოროტი განზრახვის აღსასრულებლად მეფისაგან ნებას ითხოვდა, გამოყოფილიყო სახაზინო და საკომპანიო გემები.[17] სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ასიათასობით აფხაზურ-ადიღეური და სხვა კავკასიელი ხალხის მასობრივი, ძალდატანებითი აყრა-გადასახლება მშობლიური მიწა-წყლიდან. 1864 წლის 2 აპრილს რუსეთის სამხედრო შტაბში მისული უბიხების, შაფსუღების და საძების პარლამენტარებს, რომლებიც ითხოვდნენ სამშობლოში დარჩენის ნებართვას, მიეცათ მკაცრი მითითება, რომ აღნიშნული მოსახლეობა ერთი თვის განმავლობაში გადასახლებულიყო ოსმალეთში. ამასთან რუსეთის სამხედრო სარდლობა იმუქრებოდა, რომ თუ ეს განკარგულება დროზე არ შესრულდებოდა, მთიელები ჩაითვლებოდნენ სამხედრო ტყვეებად და მათ მოექცეოდნენ საომარი წესების შესაბამისად. და აი, 19 აპრილისათვის რუსეთის ჯარებს მთებში უკვე აღარ დახვდნენ უბიხები, ასევე შაფსუღების და ჩერქეზთა სხვა ეთნოგრაფიული ჯგუფების დიდი ნაწილი. მხოლოდ ჩრდილო-დასავლური აფხაზური თემები, განსაკუთრებით მთიელი საძები — აიბგელები, ახჩიფსუელები და ფსხუელები სამშობლოს დატოვებას არ აპირებდნენ. მათ მტკიცე გადაწყვეტილება მიეღოთ — ბოლომდე ებრძოლათ დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ მოწინააღმდეგეთა ძალები მეტად არათანაბარი იყო. მთის სოფლების დასათრგუნავად გაიგზავნა ოთხი სამხედრო კოლონა გენერლების პ. შატილოვის, დ. სვიატოპოლკ-მირსკის, ვ. გეიმანის და პ. ერაბეს მეთაურობით. სისხლისმღვრელ ბრძოლებში დამარცხებული საძებიც, გარდა ფსხუელებისა, იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ მამა-პაპათა მიწა-წყალი და უცხოეთში გადახვეწილიყვნენ.[18] მთიელები, გ. ჩურსინის სიტყვებით, ტოვებ-

16 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, თბ., 1970, გვ. 225.

17 **Г. А. Дзидзария**, Махаджирство... с. 15.

მოლაშქრეთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): უბიხი, აფხაზი (საძი), ქართველი (იმერელი), ჩერქეზი (აბაძეხი), ბერძენი. ტ. ლაპინსკის წიგნიდან „კავკასიის მთიელ ხალხთა ომი დამოუკიდებლობისათვის“, ჰამბურგი, 1863 (გერმ. ენაზე).

18 **Г. А. Дзидзария**, Махаджирство... с. 193-194.

დნენ სამშობლოს, როგორც დამარცხებულები და არა დამორჩილებულები побежденные но не покоренные.[19] მთებსა და ულრან ტყეებში გახიზნული მოსახლეობის ამოსაყლეტად დაიგზავნა საგანგებო დამსჯელი რაზმები, რომლებმაც ერთგულად შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობა — არ დაინდეს არც ბავშვები, არც ქალები და არც მოხუცები. 1864 წლის 21 მაისს ახჩიფსუელთა უკვე ყოფილ ცენტრში გბაადბში (თანამედროვე კრასნაია პოლიანა) ოფიციალურად გამოცხადდა კავკასიის ომის დამთავრება.[20] ომი დასრულდა, საძენი თითქმის მთლიანად „გაიწმინდა“ მოსახლეობისაგან,* მაგრამ მდ. ბზიფის ზემო წელის მცხოვრები ფსხუელები და მათი მეზობელი კუჯბები არ ასრულებდნენ მეფის სარდლობის ბრძანებას უცხოეთში გადასახლების შესახებ. აქაც გაიგზავნა ჯარის ნაწილები, რომლებმაც აიძულეს მოსახლეობა განშორებოდნენ მშობლიურ მხარეს. უკვე აგვისტოს დასაწყისში გაზ. „კავკაზის“ კორესპონდენტი ფსხუს შესახებ წერდა, როგორც ფსხუელთა ყოფილ მიწა-წყალზე.[21] აქაურ მცხოვრებთა უმეტესობა, რომელიც ზღვისპირას ძალოატანებით ჩამორეკეს, ოსმალეთში გადასახლდა, რამდენიმე ათეულმა ოჯახმა კი ჩრდილო კავკასიას შეაფარა თავი. ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით გადასახლებამდე ფსხუში 5040 კაცი ცხოვრობდა.[22]

საძების, აფხაზთა ამ ეთნოგრაფიული ჯგუფის, ასე ხელმოსმით გასახლება შემთხვევითი არ ყოფილა. როგორც ზემოთაც აღინიშნა, სწორედ, ესენი იყვნენ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მოწინააღმდეგეები რუსეთის კოლონიზატორული

19. **Г. Ф. Чурсин**, Материалы по этнографии Абхазии, Сухуми, 1957, с. 209.

20 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, გვ. 225.

* სხვადასხვა წყაროების მიხედვით გაგრა-ადლერის რაიონიდან დაახლოებით 20 ათასი კაცი იქნა გადასახლებული, დარჩა რამდენიმე ათეული ოჯახი, რომლებიც 1866-1867 წლების მუჰაჯირობის დროს სადღაც გადაიკარგნენ.

21 Газ. «Кавказ», 1864, 9 августа.

22 საქართველოს სსრ სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი (შემდეგ სსცია), ფ. 545, საქმე 63, ფურც. 216.

წებელდელი აფხაზი. XIX ს. 60-იანი წლები.

პოლიტიკისა აფხაზეთში და საერთოდ, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში. სულ მალე, 1866-1867 წლებში, ანალოგიური ბედი ეწიათ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის თავდადებულ წებელდელებს და დალელებს. წებელდისა და დალის თითქმის 15-ათასიანი (14,740 სული) მოსახლეობაც აღგვილი იქნა მამა-პაპათა მიწა-წყლიდან. 1868 წლის მონაცემებით წებელდაში სულ 13 ოჯახი ცხოვრობდა, ხოლო დალში — არცერთი.[23] პეტრე ჭარაია დალის შესახებ ჟურ-

23 Сборник статистических сведений о Кавказе, т. I, Тифлис, 1869, с. 29.

ნალ „კვალის“ 1897 წლის ერთ-ერთ ნომერში გულისტკივილით წერდა: „დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც დალი გაჭედილი იყო აფხაზებითა... ძველათ იქაურ მცხოვრებთა ვაჟკაცობით განთქმული ქვეყანა დღეს გავერანებულია ისე, რომ შიგ არავინ ცხოვრობს“.[24] 1866-1867 წლებში დიდი ზარალი განიცადა აფხაზეთის ზღვისპირა რეგიონმაც. ძირითადად იმ სოფლების მოსახლეობამ, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის 1866 წლის გლეხთა აჯანყებაში. სწორად აფასებდა რა აფხაზთა მუჰაჯირობის მიზეზებს, პროგრესული ქართული გაზეთი „დროება“ 1875 წლის 63-ე ნომერში იუწყებოდა: „ჩერქეზეთის დაპყრობის შემდეგ, უმაღლესმა მთავრობამ სტრატეგიული და სხვა მოსაზრების გამო, სასარგებლოდ დაინახა, რომ ეს ადგილები დაეცარიელებინა. სოხუმის, ბიჭვინთის, გაგრის და სხვა ხეობებში იქ, სადაც ადრე სიცოცხლე ჰქუხდა, ახლა თითქმის კაცის ფეხის კვალსაც იშვიათად დაინახავთ. მხოლოდ აქა-იქ გიჩვენებენ თითო-ოროლა სოფელს, რომელშიაც დაყვითლებული და

აფხაზ მუჰაჯირთა ჯგუფი. 1867 წ.

24 ჟურნ. „კვალი“, 1897, № 13, გვ. 268.

გალარიბებული ჩერქეზები (იგულისხმება აფხაზები — **თ. ა.**) დგანან და ახლად გადმოსახლებული რუსების კოლონიებია“.

წერილობითი ცნობებით, მათ შორის ოფიციალური დოკუმენტებით, ისიც ირკვევა, რომ როგორც 1864 წლის, ისე 1866-1867 წლების მუჰაჯირობის პერიოდში რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ოსმალეთის მთავრობასთან მოლაპარაკებას მართავდნენ და საგანგებო გეგმებსაც ადგენდნენ თუ რამდენი კაცი, როდის და რა საშუალებით გადაესახლებინათ აფხაზეთიდან ოსმალეთში. მაგალითად, ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით ვგებულობთ, რომ როცა სამშობლოდან გაძევებულთა რიცხვმა დათქმულ ზღვარს მიაღწია და თანაც სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით დღის წესრიგიდან მოიხსნა აფხაზთა შემდგომი გადასახლების აუცილებლობა, კავკასიის მეფისნაცვალი რუსეთის ელჩს კონსტანტინეპოლში აცნობებდა, რომ შემდგომში აღარ სურდა მხარი დაეჭირა პორტასათვის აფხაზების გადასახლების საკითხში.[25]

რუსეთისა და ოსმალეთის მთავრობათა თანამშრომლობა აფხაზებისა და სხვა კავკასიელი ხალხების მუჰაჯირობის საქმეში შემთხვევითი არ ყოფილა. თუ რუსეთი აბორიგენი მოსახლეობის გადასახლებით კავკასიის კოლონიზაციის საქმეს „აწესრიგებდა“, თურქეთის ხელისუფალთ გამიზნული ჰქონდათ რუსეთის იმპერიიდან გამოქცეული მთიელები დაებინავებინა ოსმალეთის დაუსახლებელ და ნაკლებად დასახლებულ ოლქებში, აგრეთვე რუსეთის საზღვრისპირა რაიონებში: ამ კონტინგენტს სულთანი გამოიყენებდა დაცემის პირას მისული ოსმალეთის იმპერიაში მიმდინარე ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად და რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მოსალოდნელ ომში.

აფხაზობას ახალი ეროვნული უბედურება დაატყდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში. ომითა და რუსეთის ბიუროკრატიული ხელისუფლებით შეწუხებული გლეხობა აჯანყდა. ცარიზმმა მშრომელთა ეს გამოსვლაც, როგორც წესი, სისხლში ჩაახშო და მოსახლეობა

25 Г. А. Дзидзария, Присоединение... с. 321.

განაიარაღა. მაგრამ მალე თურქეთის საზღვაო დესანტით შეშინებულმა რუსთა ჯარის სარდლობამ სამხედრო ნაწილები მთებში გაიზნა. ბედის ანაბარა მიტოვებულ ქალაქებსა და სოფლებს ოსმალები შეესიენ.[26] ხოლო, როცა ომის სასწორი რუსეთის მხარეს გადაიხარა, დამარცხებული ოკუპანტები უკან იხევდნენ, სოფლებს აოხრებდნენ და თან უიარაღო მოსახლეობას ძალით მიერეკებოდნენ ზღვის ნაპირისაკენ, იქედან კი გემებით მიჰყავდათ ოსმალეთში. „თურქებმა, — ვკითხულობთ აფხაზ მუჰაჯირთა ერთ-ერთ წერილში, — სხვადასხვა მიზეზების გამო ჩვენ დაპატიმრება დაგვიწყეს... როდესაც თურქების საქმე ცუდად წავიდა, უკან დახევის დროს, ჯარი ჩვენს სოფელს შემოესია... და ხალხს ძალად მიერეკებოდნენ ნაპირებისაკენ, გაქცეულებს კი ხვრეტდნენ.“[27] მტერს უიარაღოდ დარჩენილი მოსახლეობაც კი უწევდა წინააღმდეგობას და უცხოეთში გადასახლებას სამშობლოში სიკვდილს ამჯობინებდა. კონსტანტინე მაჭავარიანი, რომელიც თავად იყო აფხაზთა ამ უკანასკნელი მუჰაჯირობის მომსწრე, ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ დიდი რაოდენობით აფხაზები დახოცეს იმის გამო, რომ წინააღმდეგობა გაუწიეს მომხდურებს და არ ტოვებდნენ სამშობლოს.[28] გაზ. „კავკაზის“ სოხუმელი კორესპონდენტის ცნობით, ზღვის სანაპიროზე ხშირად ვხვდებოდით აფხაზ მამაკაცთა გვამებს და ამგვარი სურათები თურქეთში გადასახლების წინააღმდეგ მომხდარი უთანასწორო შეტაკების შედეგიაო. იგივე გაზეთი გვაუწყებს, რომ სოხუმში ზღვის სანაპიროზე „შუქურას“ მახლობლად ეყარა ხელებშებორკილი და ყელგამოღადრული ოცდაათამდე აფხაზი მამაკაცის გვამი. ამ უბედურებმა, ასკვნის ავტორი, უკანასკნელ მომენტში, გემებში ჩასხდომის წინ სცადეს წინააღმდეგობის გაწევა[29].

გარდა იმისა, რომ შიმშილი და ეპიდემია მუსრს ავლებდა სამშობლოდან მოწყვეტილ ტყვეებს, ოსმალოს ჯარის-

26 Очерки истории Абхазской АССР, ч. I, Сухуми, 1960, с. 215-216.

27 **შ. მეგრელიძე**, აჭარის წარსულიდან თბ., 1964, გვ. 4.

28 **К. Мачавариани**, Описательный путеводитель по Сухуму и Сухумскому округу, Сухум, 1913, с. 299, 309.

29 Газ. «Кавказ», 1877, 26 октября.

„ოსმალთა ტყვეობაში“. 1877 წ.

კაცები არ ერიდებოდნენ გემების გათავისუფლებას „უსარგებლო ტვირთისაგან“. 1877 წლის 29 ოქტომბრის გაზ. „რუსკი მირის“ ცნობით, თურქებს გემებით მიჰყავდათ მოხუცებიც, ახალგაზრდებიც და ბავშვებიც, მაგრამ როგორც კი გემი ზღვის სილრმეში გაუჩინარდებოდა, იწყებოდა აფხაზი ტყვეების „დახარისხება“. ყველა მოხუც მამაკაცს, ვისაც იარაღის ტარება არ შეეძლო, მოხუც ქალებს, რომლებიც ჰარამხანებისათვის არ გამოდგებოდნენ, ასევე მცირეწლოვან ბავშვებს, ვისაც დედის მზრუნველობა ესაჭიროებოდათ, გემებიდან ზღვაში ჰყრიდნენ. დიდძალი ხალხი იხოცებოდა როგორც გემებით გადაყვანისას, ისე ფეხით მგზავრობის დროს. ცნობილმა აფხაზმა მწერალმა მიხეილ ლაკრბამ მშობლიური ხალხის ეს ეროვნული უბედურება შემდეგნაირად დაახასიათა: „ცეცხლის ალისაგან განათებული იყო მთები — იწვოდა სოფლები გადასახლებული მაჰაჯირებისა. დევნილი მაჰაჯირები იაფფასიანი ბარგით, უსურსა-

თოდ, მიდიოდნენ ფეხით, ურმებით, რომელთაც ეიერეკებოდნენ თურქეთის საზღვრისაკენ. ყარსში, ერზერუმში, არდაგანში, ზღვით კი „სოხუმ-კალედან“ ბათუმზე ვავლით ტრაპეზუნამდე გაბმული იყო ფილუგების ქარავანი, განდევნილვებით დატვირთულნი. გზებზე სადაც გაიარეს გაძარცულმა დევნილებმა, ათასობით ეყარა დახოცილთა ცვამები... შიმშილი, ავადმყოფობა, სიღატაკე, მუსრს ავლებდა ხალხს“.[30]



აფხაზთა გადასახლება.

გ. წერეთლის მიხედვით, რომელიც იმ პერიოდში გაზ. „გოლოსის“ კორესპონდენტად მუშაობდა, მარტო იმ უკანასკნელი მუჰაჯირობის პერიოდში (იგულისხმება 1877-1878 წ წ. **თ. ა.**) აფხაზეთიდან გასახლებულ იქნა 48 ათასი კაცი,[31] სერგეი მესხის ვარაუდით კი ეს ციფრი 50 ათას აღწევდა.[32] ლი-

30 **მ. ლაკერბაია,** აფხაზური თეატრის ისტორიიდან, თბ., 1977, გვ. 6;

31 Газ. «Голос», 1877, 5 декабря.

32 **ს. მესხი,** თხზ. ტ. III, გვ. 21.

ტერატურაში გვხვდება სხვა ციფრებიც. სადავოა სულ რამდენი ათასი კაცი გადაასახლეს აფხაზეთიდან XIX ს. მეორე ნახევარში.* მაგრამ ერთი რამ ცხადია, მუჰაჯირობამდე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა 70-იანი წლების ბოლოსათვის თითქმის დაცარიელდა. აფხაზთა ქვეყანა საშინლად დაცარიელდაო, წერდა გაზ. „რუსკი მირი“ (1877, 31 აგვისტო). გაზ. „ტიფლისკი ვედომოსტი“ კი 1877 წლის 4 სექტემბრის ნომერში იუწყებოდა: „ქვეყანა, დაწყებული მდ. მოქვიდან და დამთავრებული გუდაუთამდე, გაგრამდე და ბიჭვინთამდე გადაქცეულია უდაბნოდ“. იმავე ხანებში, 1877 წ. 22 აგვისტოს გ. წერეთელი გაზ. „გოლოსში“ აღწერდა მუჰაჯირობისაგან გავერანებულ აფხაზეთის მიწა-წყალს და გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ამ რამდენიმე ხნის წინათ სიცოცხლით სავსე უდიდესი ტერიტორია ახლა ნანგრევებადაა ქცეული. აქ შეხვდებით მხოლოდ უპატრონოდ დარჩენილი ძაღლების ხროვებს, რომლებიც ასობით დაძრწიან ტყეებში და გამვლელ-გამომვლელებს აშინებენ. აი, რა სამწუხარო მდგომარეობაშია ეხლა აფხაზეთი — დაასკვნის ავტორი, და იქვე შენიშნავს, რომ განა შეიძლება ეწოდოს ამ ადგილმდებარეობას ძველებურად აფხაზეთი, როცა აქ აფხაზები აღარ ცხოვრობენ... თვით სიტყვა „აფხაზეთი“ დღეის შემდეგ სამუდამოდ უნდა იქნეს დავიწყებული.

იმ დროს როდესაც აფხაზეთი და მისი მკვიდრი მოსახლეობა ასეთ კრიტიკულ ვითარებაში მოექცა, როცა წყდებოდა აფხაზთა ფიზიკური ყოფნა-არყოფნის საკითხი, რუსეთის ოფიციალური წრეები და რეაქციული პრესა არ მალავდნენ აფხაზი ხალხის ტრაგედიით გამოწვეულ სიხარულს. უნდა გვიხაროდეს, — ვკითხულობთ გაზ. „რუსკი მირში“, — ჩვენი თანამემამულე აფხაზების თურქეთში გადასვლით... მათი

* უახლესი ლიტერატურული მონაცემებით, გასული საუკუნის 60-70-იან წლებში სამშობლოდან გასახლებულ იქნა აფხაზურ-აბაზური მოდგმის 135 ათასი კაცი. მათი რაოდენობა უბიხებთან ერთად 180 ათასს აღწევდა. დღეისათვის ამ ლტოლვილთა შთამომავლები ცხოვრობენ თურქეთში (100 ათასზე მეტი), სირიაში, იორდანიაში და სხვა არაბულ ქვეყნებში (30 ათასამდე), ასევე საბერძნეთში, გფრ-ში, კვიპროსზე, ამერიკაში (История Абхазии, Сухуми, 1986, с. 96)

„გადაქაჩვა“ გაუადვილებს სოხუმის ადმინისტრაციას თუ როგორ მოაწყოს აფხაზეთი — ფრანგულ თუ შვეიცარულ ყაიდაზე.[33] ისტორიკოსი ნ. ბუტკევიჩი კი კავკასიის მთიელებს, მათ შორის აფხაზებს „შინაურ მტრებს“ უწოდებდა და მკითხველებს არწმუნებდა, რომ მათი გადასახლება ცარიზმს მხოლოდ სარგებლობას მოუტანსო. იგი ამასთან წინადადებას იძლეოდა ცარიზმის პოზიციების განსამტკიცებლად შავიზღვისპირეთის, ყუბანისა და თერგის „განთავისუფლებულ მიწებზე“ დაემკვიდრებინათ უპირატესად რუსი ეროვნების მოსახლეობა.[34]

როგორც ვხედავთ, მეტად ძვირად დაუჯდა თავისუფლებისმოყვარე აფხაზ ხალხს ცარიზმის წინააღმდეგ წლების განმავლობაში წარმოებული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ მეფის ხელისუფლებამ ესეც არ აკმარა მას. ოსმალეთში ძალდატანებით გადასახლებული აფხაზები მთავრობამ „მოღალატეებად“ მონათლა და აუკრძალა მათ სამშობლოში დაბრუნება. ხოლო ვინც გადასახლებას გადაურჩა ისინი მეფის წინაშე „დამნაშავეებად“ გამოაცხადეს. თვით სახელწოდება „აფხაზეთი“ ხმარებიდან ამოიღეს, ქვეყანას სოხუმის ოლქი უწოდეს, ხოლო აფხაზები მშობლიური მიწის „დროებით მცხოვრებლებად“ გამოაცხადეს. ყველაფერ ამასთან ერთად მზადდებოდა გეგმა დარჩენილი აფხაზების მშობლიური ქვეყნიდან პირწმინდად გადასახლების შესახებ. მხოლოდ 1907 წელს, რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გავლენით, მთავრობამ აფხაზ ხალხს მოუხსნა „ბრალდება“ მეფის წინაშე „ჩადენილი დანაშაულისა“.[35]

აი, ასეთ სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა აფხაზეთი და მისი მკვიდრი მოსახლეობა, როცა სამშობლო ქვეყნიდან დევნილ აფხაზთა ერთი ნაწილი აღმოჩნდა აჭარის ტერიტორიაზე. კონკრეტული მასალების მიხედვით, მათი საგრძნობლად დიდი ჯგუფების დასახლება აჭარის ზღვისპი-

33. Газ. «Русский мир», 1877, 6 октября.

34 **Г. А. Дзидзария,** Махаджирство... с. 364.

35 **Ш. Д. Инал-Ипа.** დასახ. ნაშრ. გვ. 155; **З. В. Анчабадзе,** Очерк этнической истории абхазского народа. Сухуми, 1976, с. 87.

რეთში XIX ს. 60-იან წლების დასაწყისიდან მიმდინარეობდა. კერძოდ, გაზ. „დროების“ 1882 წლის 16 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული აფხაზი მუჰაჯირების განცხადების მიხედვით, რომელიც ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მისამართით იყო დაწერილი, ირკვევა, რომ აფხაზების ერთი ჯგუფი ბათუმში 20 წლის წინათ, ე. ი. 1862 წლისათვის დასახლებულა. მუჰაჯირები გუბერნატორს წერდნენ: „კარგად მოგეხსენებათ ამბავი ჩვენი უბედური აფხაზების ბათუმში გადმოსახლებისა, ამ გადმოსახლებულებმა აუტანელის მდგომარეობის მოთმინებით ოსმალოს მმართველობისაგან მიიღეს დაუმუშავებელი მიწები და ოცი წლის განმავლობაში, მრავალი ახლობელი ნათესაობის და კაცობრიული საუკეთესო დროს შეწირვით დაამუშავეს მიღებული მიწები“.* ამავე, 1862 წელს აფხაზების აჭარაში დასახლებაზე მიგვანიშნებს გაზ. „ჩერნომორსკი ვესტნიკში“ 1900 წლის 12 იანვარს დაბეჭდილი ერთ-ერთი წერილიც. საარქივო მასალებიც მიუთითებენ, რომ აფხაზ ლტოლვილთა დიდი ჯგუფი 60-იანი წლების დასაწყისში დასახლებულა ბათუმში, ე. წ. „ნურიე გელის“ უბანში (დღევანდელი პიონერთა პარკის ტერიტორია). ბათუმში მცხოვრები ერთ-ერთი მუჰაჯირი აფხაზი ხუსეინ ხასანის ძე გაბლია სტამბოლში რუსეთის გენერალურ კონსულს აცნობებდა, რომ იგი წარმოშობით სოხუმელია, სოფელ კელასურიდან, რომელიც თავის თანამოძმეთა სამი ათას ოჯახთან ერთად თხუთმეტი წლის წინათ ჩამოსახლდა ბათუმში.[36] წერილი დაწერილია 1879 წელს. ამ წერილის მიხედვით ცხადად ჩანს, რომ აფხაზების საკმაოდ დიდი ჯგუფის ჩამოსახლება აჭარაში 1864 წელს მომხდარა. ამ მხრივ საინტერესოა ცნობილი მწერლის გ. წერეთლის ცნობა, რომელიც გაზ. „გოლოსში“ დაიბეჭდა 1878 წლის 14 მაისს. წერილის ავტორს ქობულეთში დაუჭირავებია იალქნიანი ნავი, რომლის მენიჩბეები აფხაზი ჭაბუკები ყოფილან, მათ მწერლისათვის უცნობებიათ, რომ ისინი, სხვა მუჰაჯირებთან ერთად, სოხუმიდან ბათუმში გად-

* განცხადებას ლტოლვილთა სახელით ხელს აწერდნენ ახმედ არდბა, ხასან და ხუსეინ მუშხაჯბა (მუშვბა), იბრაიმ კშინდბა და სხვ.

36 სსცია, ფ. 545, საქმე 2073, ფურც 56.

მოუსახლებიათ. ამ ცნობითაც ირკვევა, რომ აფხაზთა გარკვეული ჯგუფი იმავე 1864 წელს დასახლებულა აჭარაში. ტრაპიზონში რუსეთის გენერალური კონსულის ა. ნ. მოშნინის მიხედვითაც 1864 წელს ბათუმში ჩამოსულა დაახლოებით ექვსი ათასი ლტოლვილი.[37] გამორიცხული არ არის, რომ ლტოლვილთა შორის აფხაზური ჩამომავლობის მოსახლეობაც ყოფილიყო. იგივე დიპლომატიური მოხელე 1866 წელს იტყობინებოდა აგრეთვე, რომ ბათუმში დასახლდნენ აფხაზეთიდან გადმოსახლებული მუჰაჯირებიო.[38] ყურადსაღებია აგრეთვე ტრაპიზონში ინგლისელი კონსულის ჯ. პალგრევის ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ 1872 წლისათვის ბათუმის ოლქში ცხოვრობდა ემიგრანტთა სამასი ოჯახი, რომელიც 1864 და 1867 წლებში აფხაზეთიდან ყოფილა გადმოსახლებული.[39]

1864, 1866 და 1867 წლებში აჭარაში აფხაზთა დასახლების ფაქტები შემთხვევითი არ არის. როგორც ზემოთ დავინახეთ, სწორედ აღნიშნულ წლებში დასტურდება აფხაზთა მუჰაჯირობის ორი დიდი ეტაპი, რომლის დროსაც აფხაზეთი სანახევროდ დაცარიელდა მკვიდრი მოსახლეობისაგან.[40] საველე-ეთნოგრაფიული მონაცემებითაც აჭარაში მცხოვრები აფხაზური გვარების ერთი ნაწილი (მაგ. აცამბა, აშმეიბა, კუდბა, პაპბა, ჩირგბა, აჩუგბა, აბდიბა, გეჩბა, ჩამბა, ციცბა, ჩაზმავა, კაიტანბა, აშამბა, აგრბა და სხვ.) 60-იანი წლებიდან სახლობს აჭარაში.

ირკვევა, რომ ემიგრანტები აჭარაში არა მარტო უშუალოდ აფხაზეთიდან გადმოსახლების შემდეგ რჩებოდნენ საცხოვრებლად, არამედ ოსმალეთში გადასახლების შემდეგაც ბრუნდებოდნენ აჭარაში იმ იმედით, რომ აქედან ისევ მშობლიურ მიწა-წყალს დაუბრუნდებოდნენ. მაგრამ ჯერ ოსმალეთის, შემდეგ კი რუსეთის ხელისუფლება არ აძლევდა მათ

37 **Г. А. Дзидзария**, დასახ. ნაშრ., გვ. 229.

38 **Г. А. Дзидзария**, დასახ. ნაშრ., გვ. 216.

39 Материалы для описания Азиатской Турции и Батумской области... с. 49.

40 ჟურნ. „კვალი“, 1897, № 12, გვ. 252.

სამშობლოში დაბრუნების ნებას, რის შემდეგაც მათი ნაწილი აჭარაში რჩებოდა საცხოვრებლად, ნაწილი კი უკან ოსმალეთში ბრუნდებოდა. მაგალითად, ჯერ კიდევ 1865 წლის 17 მაისს კონსული ა. მოშნინი იტყობინებოდა, რომ არტაანში გადასახლებული ჩერქეზები ბრუნდებიან ბათუმში და იმუქრებიან, რომ მოაწყობენ აჯანყებას თუ ოსმალეთის ხელისუფალნი არ მიუჩენენ მათ დასასახლებლად უკეთეს ადგილს. ზოგიერთი მათგანი გაემართა მდ. ჩურუქ-სუსაკენ (მდ. ჩოლოქი) იმ განზრახვით, რომ გაარღვევდნენ ოსმალეთ-რუსეთის სახელმწიფო საზღვარს წმ. ნიკოლოზის ფორტთან და გადავიდოდნენ რუსეთის სამფლობელოში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ამ ფაქტით შეწუხებული რუსეთის კონსული თხოვდა ოსმალეთის ადგილობრივ ხელისუფალთ, არ დაეშვათ ჩერქეზების მიახლოება რუსეთის საზღვართან. მუჰაჯირთა განზრახვის ჩასაშლელად გამოყვანილ იქნა რეგულარული ჯარის ნაწილები.[41]

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თურქები ეთნონიმ „ჩერქეზის“ ქვეშ საკუთრივ ჩერქეზებს გარდა, აფხაზებსაც გულისხმობდნენ, მაშინ არ არის გამორიცხული, რომ არტაანიდან ბათუმში გადმოსულ ჩერქეზებს შორის აფხაზებიც ყოფილიყვნენ.

აფხაზ ემიგრანტთა თურქეთიდან სამშობლოში დაბრუნების ამსახველი მასალები განსაკუთრებით ხშირად იბეჭდებოდა XIX ს. 70-80-იანი წლების პრესაში. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში და ომის დამთავრების შემდგომ წლებში მოხდა გარკვეული ცვლილებები აჭარაში მცხოვრებ ემიგრანტ მოსახლეობაში. ჩერქეზები და უბიხები თითქმის მთლიანად,[42] ხოლო აფხაზების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით 60-იანი წლების მუჰაჯირები, რუსეთის ჯარის შემოსვლის პერიოდში აჭარის ტერიტორიიდან გადადის ოსმალეთის ახალ საზღვრებში. ამასთან ერთად, მიმდინარეობს აფხაზ-ემიგრანტთა ახალ-ახალი ნაკადის შემოსვლა ბათუმში. ესენი

41 **Г. А. Дзидзария**, დასახ. ნაშრ., გვ. 237.

42 **ი. სიხარულიძე**, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წ. II, ბათუმი, 1959, გვ. 40.

ძირითადად 1877-1878 წლების ომის პერიოდში თურქების მიერ აფხაზეთიდან ძალად წაყვანილი ლტოლვილებია, რომლებიც ბათუმზე გავლით აპირებდნენ აფხაზეთში დაბრუნებას. საარქივო მასალები და პრესის მონაცემები მიუთითებენ იმ ტრაგიკული მოვლენების შესახებ, რაც თან ახლდა აფხაზ მუჰაჯირთა სამშობლოში დაბრუნების მცდელობას. მოსახლეობა ბრუნდებოდა როგორც გემებით, ისე ფეხით. ორივე შემთხვევაში ისინი ბათუმზე გავლით მიდიოდნენ, მაგრამ ბათუმის ხელისუფალთ ზემოდან მიღებული ჰქონდათ მითითება, რომ არ დაეშვათ აფხაზების დაბრუნება სამშობლოში.[43] მიუხედავად ამისა, უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ემიგრანტები ყოველ ღონეს ხმარობდნენ აფხაზეთში დაბრუნებისათვის. „ყოველ დილაზე, — ვკითხულობთ გაზ. „დროების“ ერთ-ერთ ნომერში, — გაივლიდი თუ არა ბათუმში, გუბერნატორის კარების წინ, ნახავდით ქალებს და ბოვშვებს, რომლებიც შიმშილისაგან დაყვითლებულები იხვეწებიან: „გაგვიშვით! გაგვიშვით! აფხაზეთში!... ხან ნახავდით პოლიციის წინ მინდორს სავსეს აფხაზებით და შებღავიან მას“.[44] „აფხაზებზე უსაცოდავესს ბათუმში, — წერდა დ. წერეთელი, — ვერას ნახავს კაცი: უსახლ-კაროთ, მშიერთ, მწყურვალი ყრიან უმოწყალოთ ცოლ-შვილით“ („დროება“, 1878, № 199). 1878 წლის 8 აგვისტოს კავკასიის არმიის შტაბის უფროსის სახელზე შედგენილი ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ ბათუმში დააბრუნეს აფხაზეთის სანაპიროზე საიდუმლოდ გადასული 240 აფხაზი მუჰაჯირი, რომლებსაც კვლავ თურქეთში აგზავნიანო.[45] 1880 წ. ბათუმის ადმინისტრაციამ უკან თურქეთში დააბრუნა 600 ანუხველი (სოფელია ახალ ათონთან) აფხაზი ლტოლვილი.[46] იმავე 1880 წელს ბათუმში ოსმალეთიდან ათასი სული ქრისტიანი აფხაზი ჩამოსულა, რომლებიც ითხოვდნენ სამშობლოში დაბრუნების ნებართვას.[47] ხოლო იმავე წლის ერთ-ერთი დოკუმენტიდან

43 **А. Френкель**, დასახ. ნაშრ., გვ. 81.

44 გაზ. „დროება“, 1878, 19 ნოემბერი. 1237

45 სსცია, ფ. 545, საქმე 1663, ფურც. 40.

46 სსცია, ფ. 545, საქმე 2069, ფურც. 55.

47 გაზ. „დროება“ 1880, 15 აგვისტო.

ირკვევა, რომ 11 აგვისტოს ოსმალეთიდან ბათუმში გემს ჩამოუყვანია ათასორასი აფხაზი ოჯახი, ანუ შვიდი ათასი სული, რომელთაც აგრეთვე ადგილობრივი მთავრობა აფხაზეთში დაბრუნების უფლებას არ აძლევდა.[48] თურქეთიდან ბათუმში მოსულ ოთხას ქალსა და ამდენივე ბავშვს სამშობლოში დაბრუნება აუკრძალა ჯერ ბათუმის ოლქის მთავრობამ, ხოლო შემდეგ კავკასიის ხელისუფლებამ.* უფრო მეტიც, ბათუმის გუბერნატორმა გასცა განკარგულება, ისინი შეებორკათ და ასე გაეგზავნათ ოსმალეთში.[49] აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აფხაზ მუჰაჯირთა ეს ჯგუფიც ქრისტიანული სარწმუნოებისა ყოფილა, რომლებიც თურქებს უკანასკნელ რუსეთ-თურქეთის ომის დროს ძალდატანებით წაუყვანიათ აფხაზეთიდან.* ყოველივე ამის მიუხედავად აფხაზების ლტოლვა სამშობლოსაკენ არ შეწყვეტილა. მარტო 1880 წლის ივლის-აგვისტოში ბათუმის ნავსადგურში ათობით გემი შევიდა აფხაზი მუჰაჯირებით დატვირთული. აფხაზების თურქეთიდან დაბრუნების თუ სამშობლოდან მათი ხელმეორედ გადასახლების ფაქტების სიხშირეზე მიგვანიშნებს იმ პერიოდში შედგენილი უამრავი დეპეშა, განცხადება თუ წერილი. მაგალითად, საქართველოს

48 სსცია, ფ. 545, საქმე 2069, ფურც. 50.

* ქალებისა და ბავშვების ჯგუფს მამაკაცების გარეშე სხვა შემთხვევაშიც მრავლად ვხვდებით, რადგანაც მამაკაცების გარკვეული ნაწილი, როგორც ზემოთ ვნახეთ, აფხაზეთშივე იღუპებოდნენ სამშობლოდან გადასახლების საწინააღმდეგოდ გამართულ ბრძოლებში. ნაწილს კი თურქეთში ჩასვლის შემდეგ არმიაში იწვევდნენ.

49 სსცია, ფ. 545, საქმე 2069, ფურც. 126.

* ეს ფაქტი, რომ ლტოლვილთა შორის მრავლად იყვნენ ქრისტიანები, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს აფხაზთა მუჰაჯირობის ძალდატანებით ხასიათს, მეორე მხრივ კი, აქარწყლებს შეხედულებას, რომლის მიხედვითაც თითქოსდა აფხაზების მუჰაჯირობა ემყარებოდა მუსულმანურ რელიგიურ ფანატიზმს. სინამდვილეში, რელიგიური ფანატიზმის საფუძველზე აფხაზების გადასახლების ფუჭი თეორია ცარიზმის მიერ იყო შეთხზული, რომელსაც მხარს უბამდნენ რეაქციული პრესა და ცალკეული ისტორიკოსები. აღნიშნული თეორიის მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ მიჩქმალულიყო ცარიზმის მიერ აფხაზებისადმი ჩადენილი ბოროტების არსი და მუჰაჯირობით გამოწვეული ტრაგედია თვით აფხაზ ხალხს გადაბრალებოდა.

სსრ სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივის 545-ე ფონდის მხოლოდ ერთ საქმეში (№ 2069) ინახება 150-ზე მეტი აღნიშნული ხასიათის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს პერიოდს 1880 წლის 8 ივნისიდან 1881 წლის 31 იანვრამდე. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ დოკუმენტთა მონაცემების დიდი ნაწილი ბათუმთანაა დაკავშირებული.

ირკვევა, რომ, როდესაც თურქეთიდან ბათუმში ჩამოსულ აფხაზებით დატვირთულ გემებს რუსეთის მთავრობა უკან აბრუნებდა, თურქეთის ხელისუფლება მათ ხელმეორედ აღარ ღებულობდა და ზარბაზნის სროლით ზღვაში მიერეკებოდა. „აფხაზებს, — წერდა გაზეთი „დროება", — ბურთივით ისვრიან ჩვენი პორტიდან ოსმალოს პორტამდის, საიდანაც იმათ თოფის სროლით აბრუნებენ უკან და არიან ეს საწყლები გაჩერებული ორ მიწას შუა იმედმოღებულნი და სასოწარკვეთილნი".[50] თოფის სროლითვე ეგებებოდა რუსეთის ხელისუფლება იმ მუჰაჯირებს, რომლებიც დიდი სიძნელეების გადალახვის შემდეგ აფხაზეთის ნაპირებს აღწევდნენ. გაზ. „დროება", რომელიც ტრადიციულად აქტიურად ეხმაურებოდა აფხაზების მუჰაჯირობასთან დაკავშირებულ ყველა ფაქტს, იუწყებოდა: „სოხუმის სამხედრო რაზმის უფროსი პოლკოვნიკი არაკინი, როგორც რამდენჯერმე იყო გაზეთებში გამოცხადებული, თოფითა და ზარბაზნით უხვდებოდა ყველა აფხაზებსა და ჩერქეზებს, რომელნიც კი იმის მაზრაში შავი ზღვის ნაპირზე ფეხის გადმოდგმას გაბედავდა".[51]

აფხაზი მუჰაჯირების დენადობამ სამშობლოსაკენ იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ კავკასიის ხელისუფლებამ არაერთი თხოვნა გაუგზავნა თურქეთის მთავრობას, რათა მას ხელი შეეშალა სამშობლოში აფხაზების დაბრუნებაზე, ხოლო აფხაზი ემიგრანტებით დატვირთული გემების თურქეთის ნავსადგურში შესვლის შემთხვევაში, ადგილობრივ მთავრობას უარი არ ეთქვა მათ მიღებაზე.[52] მაგრამ, როგორც ერთ-ერთი დოკუმენტიდან ირკვევა, ოსმალეთის ადგილობრივ ხელისუ-

50 გაზ. „დროება", 1880, 20 სექტემბერი.

51 გაზ. „დროება", 1880, № 223.

52 სსცია, ფ. 545, საქმე 2069, ფურც. 205.

ფალთ საკუთარი მთავრობისაგან მიღებული ჰქონდათ ბრძანება თურქეთიდან აფხაზების გასახლების შესახებ, რის გამოც ისინი ყველანაირად აქეზებდნენ და ხელს უწყობდნენ აფხაზთა მასიურ ემიგრაციას ოსმალეთიდან.[53] ამიტომ, ბუნებრივია, თურქეთის პორტები უკან აღარ ღებულობდნენ აფხაზეთიდან და რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ნავსადგურებიდან ხელმეორედ დაბრუნებულ მუჰაჯირებს.*

აფხაზთა მოზღვავებამ რუსეთის მთავრობა იძულებული გახადა 1881 წელს გაეუქმებინა ორი წლის წინ მიღებული ბრძანება, რომელიც ართმევდა მუჰაჯირებს სამშობლოში დაბრუნების უფლებას.[54] მაგრამ, ამასთან ერთად, საიდუმლო მითითება მიეცათ რუსეთის საელჩოს და საკონსულოებს თურქეთში, რომ აღნიშნული ფაქტი დაემალათ აფხაზებისათვის. ამის შემდეგ აფხაზეთში დაბრუნებულთა რიცხვმა თანდათანობით იწყო კლება. ხოლო ვინც ახერხებდა აფხაზეთის ტერიტორიაზე შეღწევას, იმათ ქალაქიდან და საერთოდ ზღვის ნაპირიდან მოშორებით ასახლებდნენ.[55] „რა საკვირველია, — წერდა ჟურნალ „ივერიის" კორესპონდენტი, — რომ აფხაზეთის უმთავრესი ქალაქის ახლო-მახლო ასეთი სიჩუმე იყოს, როდესაც აფხაზეთში აფხაზები აღარ არიან. რაც გადასახლდა მათგან ბევრი აღარავინ დაბრუნებულა და ვინც დაბრუნდა, იმათ სოხუმიდან ოც და ათს ვერსზედ ახლო დასახლების ნება არ აქვთ".[56] ამავე აზრს იმეორებდა გაზ. „დროება" 1883 წ. 29 ნოემბერს: „უკანასკნელი ომის შემდეგ უმაღლესი განკარგულება იყო, რომ მდ. კოდორსა და ფსირცხას შუა აფხაზები არ დასახლებულიყვნენ. ამათ გარდა სხვას ყველას ეძლეოდა ნება აქ დასახლებისა". ამდენად, რუ-

53 სსცია, ფ. 545, საქმე 2069, ფურც. 200.

* ჩვენი აზრით, სულთნის ხელისუფლება ცდილობდა არა ყველა აფხაზი მუჰაჯირის გასახლებას თავისი ქვეყნიდან, არამედ ლტოლვილთა იმ ნაწილის თავიდან მოშორებას, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა სამშობლოში დაბრუნებას და უარის მიღების შემთხვევაში აწყობდა მღელვარებებს.

54 **ზ. მეგრელიძე**, დასახ. ნაშრ., გვ. 72.

55 **З. В. Анчабадзе**, დასახ., ნაშრ., გვ. 37.

56 ჟურნ. „ივერია", 1881, № 11, გვ. 96.

სეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში აჭარის შესვლის შემდეგ (1878 წ.) ბათუმს ათასობით აფხაზი ლტოლვილი მოაწყდა, რომელთა უმეტესობა უკან ოსმალეთში დააბრუნეს, მცირე ნაწილი აფხაზეთში გადასახლდა, ხოლო გარკვეული ნაწილი აჭარაში დარჩა საცხოვრებლად.

აფხაზთა ზოგი ოჯახი, როგორც ოსმალეთის ისე რუსეთის მთავრობამ, ბათუმის განაპირა უბნებში წარჩინებულ პირთა მიწებზე დაასახლეს. ამიტომ, პრივილეგირებული კლასის წარმომადგენლები ყველანაირად ცდილობდნენ დაეპირისპირებინათ ადგილობრივი მოსახლეობა მუჰაჯირებთან, შეექმნათ კონფლიქტები, რათა ხელი შეეშალათ აფხაზებისათვის აჭარაში დამკვიდრებაზე. ამ ბოროტ განზრახვებს გამიზნებული შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, ქართველებსა და აფხაზებს შორის, ისევე როგორც აჭარაში მოსახლე სხვა ეროვნების წარმომადგენლებს შორის, როგორც ქალაქად, ისე სოფლად მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა დამყარდა.

წერილობითი მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ თურქ ხელისუფლებას აფხაზები ძირითადად დაუსახლებია ქალაქ ბათუმსა და აჭარის სხვა ზღვისპირა პუნქტებში. ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით 1860-იანი წლების დასაწყისში აფხაზები დასახლებულან შემდეგ უბნებში: კალტიბაური, ყუშადიე ანუ ჩელტა, იმამიე ანუ სალიბაური, ბედენიე, ფეიზიე, სოუქსუ, იჯადიე, ფერიე ანუ შუქრიე, ლუთფიე, ათიე, ადლიე, ნურიე, ერგე, მაჰმუდიე, ნამანდრო ანუ უზათიე, ურეხი და სხვ.[57] გარდა ამისა დაახლოებით იმავე პერიოდიდან აფხაზები ცხოვრობდნენ გონიოში, ჭარნალში, მახინჯაურში, ჩაქვში, ციხისძირში, ბობოყვათში, ქობულეთში, ფიჭვნარში და სხვ. ემიგრანტებისათვის უმეტესად დაუსახლებელი მიწები გამოუყვიათ.[58] კერძოდ, სახელმწიფოს კუთვნილი, ე. წ. ერაზი მირიეს კა-

57 **ვ. სიჭინავა**, ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958, გვ. 53.
58 გაზ. „დროება", 1882, 16 იანვარი.

ტეგორიის მიწები.* დასახლებიდან ოცი წლის გასვლის შემდეგ მუჰაჯირებს მათთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის გაყიდვის ნებართვა ეძლეოდათ. მიწაზე ამგვარი უფლების მიცემა, ბუნებრივია, მიწის კერძო საკუთრებად გადაქცევის საფუძველს ქმნიდა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კერძო საკუთრებად ქცეული მიწები, ე. წ. „მულქი", ოსმალთა მმართველობის პერიოდის აჭარაში გამონაკლისის სახით არსებობდა,[59] მუჰაჯირთათვის მიწისმფლობელობის დარგში ამგვარი შეღავათების მიცემა უნდა უკავშირდებოდეს ოსმალეთის მთავრობის სწრაფვას მტკიცედ დაემკვიდრებინათ ლტოლვილები აჭარის ტერიტორიაზე, რაც მათი სამხედრო-პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარეობდა. აფხაზი მუჰაჯირების მიმართ ოსმალთა მიერ გატარებული მიწის კანონი შოგვიანებით ცარიზმის მოხელეებმა თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს; რადგან აფხაზთა უმეტესობის აჭარაში დასახლების ვადა 20 წელს არ აღწევდა, რუსეთის ხელისუფლებმა ქალაქის გაფართოებისა და თავიანთი პირადი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით ქალაქში, განსაკუთრებით მის ცენტრალურ უბნებში მცხოვრები აფხაზების უმეტესობა დასახლეს და ბედის ანაბარად მიატოვეს, მათი ნაწილი იძულებული გახდა ისევ თურქეთში გადასახლებულიყო, რადგან აფხაზეთში დასახლების უფლება არ ეძლეოდათ. მცირე ნაწილი კი ბათუმთან ახლო მდებარე სოფლებში დასახლდა. განსაკუთრებით დაზარალდნენ ქალაქის ერთ-ერთი უბნის — „ნურიეს" ანუ

* კავკასიის მთიელთა ოსმალეთში დაფუძნების საქმეს ემსახურებოდა კანონი, რომელიც ჯერ კიდევ ყირიმის ომის დროს (1853-1856 წწ) შემუშავდა. ამ კანონის მიხედვით, კავკასიელ ემიგრანტებს უსასყიდლოდ მიეცემოდათ „ერაზი მირიეს" კატეგორიის თავისუფალი, ნაყოფიერი მიწები. ამასთან იმ ზომით, რამდენის დამუშავებასაც შეძლებდნენ. ახალმოსახლეები გარკვეული ვადით (აზიაში 12 წლით, რუმელიაში 6 წლით) თავისუფლდებოდნენ გადასახადებისაგან და სამხედრო ბეგარისაგან (**ა. ავალიანი**, მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი, 1960 გვ. 79).

59 **ა. ავალიანი**, მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი, 1960, გვ. 104-106.

„აბხაზსკაია სლობოდას“ მცხოვრებნი.[60] აქ ოსმალთა ბატონობის პერიოდში 300-ზე მეტი აფხაზური ოჯახი ცხოვრობდა. რუსეთის ჯარის შემოსვლამდე მათი ნახევარი თურქეთში გადასახლდა. 1879 წლისათვის იქ დარჩენილი იყო 146 ოჯახი.[61] მათი უმეტესობაც მიწის ნაკვეთების ჩამორთმევის გამო ასახლებულ იქნა აქედან. დაზარალებულმა მუჰაჯირებმა საჩივრებით მიმართეს სასამართლო ორგანოებს და შეეცადნენ განეახლებიათ და ნოტარიული წესით დაემტკიცებინათ თურქეთის ხელისუფლების დროინდელი მიწათსარგებლობის დოკუმენტები. მაგრამ ბათუმის გენერალ-გუბერნატორმა სასამართლო ორგანოები აიძულა, აფხაზ მუჰაჯირთა დოკუმენტები ყალბად ჩაეთვალათ.[62] ამგვარი ბედი ეწიათ ბათუმის სხვა უბნებში მცხოვრებ აფხაზებსაც. აი, რას წერდნენ ბათუმის ოლქის გუბერნატორს ქალაქის ერთ-ერთ უბანში მცხოვრები მუჰაჯირები: „ჩვენდა დიდად საუბედუროდ და სამწუხაროდ, ბათუმში რუსების შემოსვლის შემდეგ... ისინი (იგულისხმება რუსები — **თ. ა.**) არ შევიდნენ ჩვენს უბედურ მდგომარეობაში, არ მიგვიღეს ჩვენ როგორც ხალხი, როგორც ადგილის მცხოვრებნი. არ მიგვიღეს ჩვენ არავითარ სამსახურში. წაგვართვეს ყოველგვარი სასყიდლის მიუცემლად ჩვენი სახნავ-სათესი მიწები, სახელმწიფო შენობებისა და რკინიგზის გაყვანისათვის...“ ეს განცხადება დაიბეჭდა გაზ. „დროებაში“ 1882 წლის 16 იანვარს, ხოლო იმავე წლის 19 მარტს ჩატარებული ერთდღიანი აღწერის მიხედვით ბათუმში სულ 337 აფხაზი ცხოვრობდა.[63] როგორც ჩანს, მუჰაჯირების ჩივილი მთავრობას უყურადღებოდ დაუტოვებია და ისინიც ქალაქიდან გაუსახლებიათ. ამაზე საველე-ეთნოგრაფიული მასალებიც მიგვითითებენ.

---

60 **И. С. Месхи**, Очерки развития Батумского городского хозяйства. СБ.: Батум и его окрестности, Батуми, 1906, с. 263.

61 **ვ. სიჭინავა**, დასახ. ნაშრ., გვ. 53.

62 **ვ. სიჭინავა**, დასახ. ნაშრ., გვ. 90.

63 Известия Кавказского Отдела Императорского Российского географического общества (далее ИКОИРГО), т. VIII, 1884, с. 94.

აჭარაში აფხაზთა დასახლების შესწავლის თვალსაზრისით საინტერესოა მათი რიცხობრივი შემადგენლობის გარკვევაც. თუმცა ამ მხრივ წარმოდგენილი მასალები წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. როგორც ზემოთხსენებულ ერთ-ერთ დოკუმენტშია აღნიშნული, 1864 წელს ბათუმში აფხაზების სამი ათასამდე ოჯახი დასახლებულა. ჯ. პალგრევის მიხედვით კი ბათუმის ოლქში რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დაწყების წინ 9500 აფხაზი და ჩერქეზი ცხოვრობდა, რომელთაგან 1866-1867 წლებში დასახლებულ აფხაზთა რაოდენობა 1200 კაცს აღწევდაო.[64] ინფორმატორთა გადმოცემის მიხედვით 60-იან წლებში ბათუმში, ქობულეთსა და მათ მიმდებარე სოფლებში რამდენიმე ათასი აფხაზი ცხოვრობდა. ისინი ასახელებენ 10, 12 და 15 ათას სულსაც კი, მაგრამ იქვე მიანიშნებენ, მუჰაჯირთა დიდი ნაწილი ეკონომიკური სიდუხჭირისა და ეპიდემიების გამო ხშირად ტოვებდა აქაურობას და ოსმალეთში გადადიოდაო. შ. მეგრელიძის აზრით, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის წინ აფხაზების რაოდენობა აჭარაში სულ მცირე ორი-სამი ათასი კაცი იყო.[65]

მიგრაციის პროცესი ეტაპობრივ ხასიათს ატარებდა და მიგრანტთა რიცხობრივი შემადგენლობა ხშირად იცვლებოდა.* ასეთივე არასტაბილური იყო აფხაზების რაოდენობა აჭარაში რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგაც. თუმცა, მათი რაოდენობა ომის შემდეგ საგრძნობლად კლებულობდა. ა. ფრენკელის მიხედვით სოფლებში სამებასა და ერგეში ჩერქეზთა 70 ოჯახი, ანუ 213 სული ცხოვრობდა, სოფელ ხელვაჩაურში 35 ოჯახი ანუ 151 სული.[66] ამასთან ერთად ავ-

---

64 **Дж. Пальгрев**, Отчет о провинции Трапезундской, Лазистанский санджак, ИКОИРГО, т. VII, Тифлис, 1882-1883, с. 56.

65 **შ. მეგრელიძე**, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

* მაგალითად, მთხრობელთა მიხედვით გასული საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებში ბათუმის აღმოსავლეთით, სოუქ-სუს უბანში ერთდროულად 500 აფხაზური ოჯახი დასახლებულა, მაგრამ ბავშვთა ხშირმა სიკვდილიანობამ, რაც შიმშილიანობითა და ეპიდემიით იყო გამოწვეული, მათი უმეტესობა დასახლებიდან 3 თვის შემდეგ აიძულა თურქეთში გადახვეწილიყო.

66 **А. Френкель**, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

ტორი მიუთითებს ბათუმში თურქეთიდან აფხაზ მუჰაჯირთა ახალ-ახალი ნაკადების მოზღვავებაზე, მაგრამ არ იძლევა რიცხობრივ მონაცემებს. არასრულყოფილი ხასიათისაა ვ. ლისოვსკის მონაცემებიც, მისი აზრით, 1884 წლისათვის მხოლოდ გონიოს უბანში ცხოვრობდნენ ჩერქეზები. აფხაზებს კი საერთოდ არ ახსენებს.[67] მაშინ როდესაც 1886 წლის სხვა მონაცემებით ბათუმის ოლქში 1469 სული აფხაზი ცხოვრობდა.[68] როგორც ჩანს, ეს ავტორიც ეთნონიმ ჩერქეზის ცნებაში აფხაზს გულისხმობდა. აფხაზთა რაოდენობის დადგენას აჭარაში ისიც ართულებს, რომ ზოგი ავტორი (დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი, ვ. ლისოვსკი და სხვ.) აფხაზურ-ადიღეურ ხალხებს ყოველთვის არ განასხვავებდა ერთმანეთისაგან და ყველას ჩერქეზებს უწოდებდა.

მიუხედავად მასალების ამგვარი წინააღმდეგობრივი ხასიათისა, რუსეთ-თურქეთის ომამდე აფხაზებისა და ჩერქეზების რაოდენობა აჭარაში რამდენიმე ათას სულს აღწევდა. მე-19 ს. 80-იანი წლების დასაწყისისათვის კი მათი რიცხვი 1500 კაცს არ აღემატებოდა, რაც იმდროინდელი აჭარის მეტად რთული სამხედრო-პოლიტიკური ვითარებით იყო გამოწვეული. მაგრამ, როგორც ირკვევა, არც ამის შემდეგ ჰქონიათ აჭარაში მოსახლე აფხაზებს მშვიდი ცხოვრების საშუალება. ჯერ, 80-იანი წლების დასაწყისში მათი დიდი ნაწილი ქალაქის ცენტრალური უბნებიდან აასახლეს, შემდეგ კი, 90-იანი წლების ბოლოს, ადმინისტრაციამ ისინი ქალაქის განაპირა დასახლებულ უბნებშიც საგრძნობლად შეავიწროვა. კერძოდ, ჟურნალ „კვალში“ (1897, № 13) გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში სათაურით „ბათუმის აფხაზები“, მოთხრობილია აფხაზთა 70-ოჯახიანი ჯგუფის ხშირი გადასახლებით გამოწვეულ გამოუვალ მდგომარეობაზე. როგორც ირკვევა, რუსეთის ხელისუფლებას ისინი ჯერ ზემოხსენებულ „ნურიეს“

67 **В. Я. Лисовский,** Чорохский край. Военно-статистический очерк, Тифлис, 1887, табл. 2.

68 Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков, 1886, Тифлис, 1890, с. 12.

უბნიდან გადაუსახლებია ქალაქის ფარგლებს გარეთ მდებარე დასახლება სტეფანოვკაში. რამდენიმე წლის შემდეგ ადგილობრივმა მთავრობამ აფხაზები აიძულა აქედანაც აყრილიყვნენ და უფრო სამხრეთით დასახლებულიყვნენ, რადგან „ეს ტერიტორია შავი ზღვის ბატარეას ესაჭიროებაო. ამის შემდეგ ხელისუფლებამ კვლავ დააყენა საკითხი მათი ხელახალი ასახლების შესახებ. „ამ აფხაზების მდგომარეობა, — მიუთითებს წერილის ავტორი, — სწორედ გაჭირვებულია. ეს იყო ახლა ფეხს იმაგრებდენ, დროს შესაფერათ ეწყობოდენ, ბევრმა ხეხილი და ვენახიც გვარიანად გააშენეს და ამ დროს მესამეჯერ ერეკებიან აქედან“.[69] ამ წერილის მიხედვით ცხადი ხდება, რომ აფხაზები წინააღმდეგი იყვნენ ხელისუფალთა მიერ მათთვის გამოყოფილ უბანში (სახელად კარაშარვალი) გადასახლებისა, რადგან ეს ადგილმდებარეობა ჭაობიანი და საცხოვრებლად უვარგისი ყოფილა. მათზე ვერც ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მიერ საგანგებოდ გამოგზავნილმა მოწერილობამ იმოქმედა. აფხაზთა პასუხი კატეგორიულ ტონს ატარებდა: „ჩვენ, — აცხადებდნენ ისინი, — არსად სხვაგან გადასახლება არ შეგვიძლიაო და არც ზემოხსენებული ბატარეისადმი მიცემული ჩვენი ადგილების სამაგიეროდ შეგვიძლია ავიღოთ მიწები იმ ადგილას, რომელსაც ეწოდება კარაშარვალ, ვინაიდან ეს ადგილი მეტისმეტათ ციებ-ცხელებიანი ადგილიაო. აფხაზები, — რომლებიც იქ დაასახლა ოსმალეთის მთავრობამ, თითქმის სულ ერთიანად ამოწყდენო, ხოლო ორიოდე ცოცხლად დარჩენილებიც ოსმალეთში გადასახლდენ და სამუდამოთ დატოვეს ეს ციებ-ცხელებიანი ადგილებიო“.[70]

ამ წერილის მიხედვით უცნობია, რა ბედი ეწიათ სტეფანოვკელ აფხაზებს. მაგრამ საველე მასალები მიანიშნებენ, რომ მთავრობას ისინი მაინც აუსახლებია, მათი გარკვეული ნაწილი მდ. ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე დასახლებულა. საშუალოდ, ეს უბანიც მეტად მძიმე ჰავით გამოირჩეოდა, სადაც ბევრი მუჰაჯირი აფხაზის სიცოცხლე იმსხვერპლა მალარიამ.[71] მაგალითად, ერთ-ერთი ჩვენი ინფორმატორის ცნო-

69 ჟურნ. „კვალი“, 1897, № 13, გვ. 261.

70 იქვე.

71 **თ. სახოკია,** დასახ. ნაშრ., გვ. 317.

ბით, მდ. ჭოროხის პირას დასახლებულმა კამზაჭ კიტაზბას 30-სულიანმა ოჯახმა სულ რაღაც ორ წელიწადში 26 სული დაკარგა. ამგვარი ვითარების გამო მოსახლეობა იძულებული ხდებოდა კვლავ სხვაგან ეძებნა საცხოვრებელი ადგილი. სტეფანოვკიდან და ქალაქის სხვადასხვა უბნიდან აყრილი აფხაზების ერთი ჯგუფი სოფ. მინდაში დასახლდა. მაგრამ რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობის გამო მეფის ჯარებმა მიწასთან გაასწორეს ეს სოფელი. გადარჩენილი მოსახლეობა ანგისაში გადასახლდა.[72] საცხოვრებელი ადგილების ხშირმა მონაცვლეობამ, უსამართლო დევნამ, ბეგებთან კონფლიქტებმა აიძულა აჭარის აფხაზობა მეფის მთავრობისათვის კიდევ ერთხელ ეთხოვა აფხაზეთში დაბრუნების ნებართვა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების ეს მცდელობაც უშედეგოდ დამთავრდა.[73]

პირველი მსოფლიო ომის დროს ბათუმის ოლქში შექმნილმა რთულმა სამხედრო-პოლიტიკურმა ვითარებამ აიძულა აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა გარკვეული ნაწილი მიეტოვებინა აქაურობა. ზოგი მათგანი აფხაზეთში გადასახლდა. ზოგიც — თურქეთში. 1918 წლიდან ერთი ნაწილი აჭარაშივე ბრუნდება.

აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა წინაპრები აფხაზეთის სხვადასხვა რეგიონებიდან არიან გადმოსახლებული. ხ. ბლაჟბა აჭარის აფხაზებს ამ მიმართებით ორ ჯგუფად ჰყოფს — ფერიელ და ანგისელ აფხაზებად; პირველში გულისხმობს ურეხის სასოფლო საბჭოს სოფლებში (ფერია, მნათობი, ურეხი, ქვედა სამება, ქვედა სალიბაური) მცხოვრებ აფხაზებს, ხოლო მეორეში — კახაბრის სასოფლო საბჭოს დაქვემდებარებული სოფლების (ანგისა, მინდა, კახაბერი) აფხაზურ მოსახლეობას. ავტორი ამასთან აღნიშნავს, რომ ანგისელი აფხაზები გადმოსახლებული არიან სოფ. თხუბუნიდან (მდ. კელასურის მარცხენა სანაპირო) და თავიანთ თავს „სოხუმელ აფხაზებს“ უწოდებდნენ, ხოლო ფერიელები — საძენიდან (ახლანდელი გაგრა-ადლერის რაიონებიდან).[74] დაახლოებით ამავე აზრისაა

72 **Г. Г. Копешавидзе**, დასახ. ნაშრ., გვ. 6.

73 იქვე.

74 **Х. С. Бгажба**, დასახ. ნაშრ., გვ. 160.

ე. კილბაც. ორივე ავტორი მიიჩნევს, რომ ანგისელთა მეტყველება ახლოსაა აფხაზური ენის აბჟუურ დიალექტთან, ხოლო ფერიელთა მეტყველება — აფხაზური ენის ბზიფურ დიალექტთან.[75] საკუთრივ აჭარის აფხაზებიც წარმომავლობის თვალსაზრისით ფერიელ აფხაზებს ანსხვავებენ ანგისელებისაგან. ფერიელები ანგისელებს უწოდებენ ბზიფის აფხაზებს.

აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლები. ბათუმი (XX ს. 20-იანი წლები).

75 **Э. К. Килба**, დასახ. ნაშრ., გვ. 198.

— ბზიფაა აფსუაა“, ხოლო ანგისელი აფხაზები ფერიულებს ჩერქეზ აფხაზებს — „ჩერქეზ აფსუაა“. გარდა ამისა ყველა ესენი თავიანთ თავს უწოდებენ როგორც აბაზას ისე ჩერქეზს. მაგრამ ე. წ. „ჩერქეზ აფხაზი“ ინფორმატორები ბზიფის აფხაზებად თვლიან როგორც საკუთრივ ბზიფის (ახლანდელი გუდაუთის რ-ნი), ისე აბჟუას (ახლანდელი ოჩამჩირის რ-ნი), გუმას და სამურზაყანოს სოფლებიდან გადმოსახლებულ აფხაზობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბზიფის აფხაზებად იწოდებიან მდ. ბზიფის მარცხენა სანაპიროს აფხაზეთის, იგივე „დიდი აფხაზეთის“ მოსახლეები, საინტერესოა ის ფაქტი, რომ XIX ს. პირველი ნახევრის ავტორი თ. ტორნაუ, რომელსაც აფხაზეთის შესახებ მეტად საინტერესო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის მასალები აქვს შეკრებილი, აღნიშნავდა, რომ ჩერქეზები მდ. ბზიფის მაცხენა მხარის აფხაზეთის მოსახლეობას „ბზიფს“ ეძახდნენო. საკუთრივ აღნიშნული მოსახლეობაც თავის თავს უწოდებდა როგორც „ბზიფს“ ისე აფსუას.[76] გამოდის, რომ ბზიფის აფხაზებში ფართო გაგებით იგულისხმება მდ. ბზიფსა და ენგურს შორის მცხოვრები აფხაზური მოსახლეობა, რაზეც აჭარაში მცხოვრები აფხაზების გვართა შესახებ შეკრებილი მასალებიც ნათლად მეტყველებენ. კერძოდ, შესაძლებელი ხდება დადგინდეს, როგორც საკუთრივ ბზიფის აფხაზების ისე აბჟუას, გუმას, სამურზაყანოს და სხვა მხარეებიდან გადმოსახლებულ აფხაზთა ვინაობა. უფრო მეტიც, ზოგჯერ შესაძლებელი ხდება არა მარტო იმის გარკვევა თუ რომელი გვარი წარმოშობით რომელი მხარიდანაა, არამედ კონკრეტულად რომელი სოფლიდანაც კი. მაგალითად, ჩირგბა, კიტაზბა, ზვანბა სოფ. ლიხნიდან არიან, აცუგბა და წუზბა — აჭანდარიდან, არგუნ-ყულანურხვიდან, აგუმბას ერთი შტო — ააციდან, მეორე — მოქვიდან (მუქ), ანანბა და ციცბა (ციმცბა) — ბარმიშიდან, აუხატ, ანქუაბ და ხოხბა — ხუაფიდან, ლაზბა — ანხუადან, ხალუაშ — დურიფშიდან. ყველა ზემოთჩამოთვლილი სოფელი, გარდა მოქვისა, გუდაუთის რაიონში ანუ ვიწრო გაგებით ბზიფის აფხაზეთში შედის.

76. **Г. А. Дзидзария, Ф. Ф.** Торнау и его кавказские материалы XIX века, М., 1976, с. 119.

აფხაზეთის ამავე რეგიონიდან არიან გადმოსახლებული აგრბას გვარის ოთხი პატრონიმიიდან (აბიფარა), სამი—თაკურითაცვა, პაყუიფაცვა, ქაზიმიფაცვა, ხოლო ერთი, რეჯებიფაცვა — გალიდან.

გუმას (ძირითადად ახლანდელი სოხუმისა და გულრიფშის რაიონების ზღვისპირა ნაწილი) მხარიდან არიან გადმოსახლებული აჟიბა (გარდა პატრონიმია კუმაჭიფაცვასი, რომელიც „ჩერქეზ აფხაზებად“ თვლის თავს), აგიბა, ხიბა, შამბა (ყველა სოფ. ეშერიდან), ჩაზმავა (აბჟაყვადან), ჯინჯბა (თხუბუნიდან). გუმელებთან შედარებით მრავალრიცხოვანია აბჟუადან ანუ თანამედროვე ოჩამჩირის რაიონის სოფლებიდან წარმომავალი გვარები. ესენია: ჭოლოყვა (ჭლოუ), ალხორბა (აჩძი, ახლანდელი ცხენის წყალი), აძინბა (ტამშ), ქუთელია (აგუბედია), ხალითბა (ტყვარჩელი), აშლარბა (ჯგერდა), ბადია (აძიუბჟა, სადაც მუჰაჯირობამდე აკარმარიდან ჩამოსახლებულა), აბჟუელებია ასევე ბასნიკ-იფა და ზუხბა, რომელთა მუჰაჯირობამდელი ადგილსამყოფელი ჯერ-ჯერობით დაუდგენელია. სწორედ იმის გამო, რომ ჩამოთვლილ გვართა უმრავლესობა სოფ. ანგისაში და კახაბრის სასოფლო საბჭოს სხვა დასახლებულ უბნებში ცხოვრობენ, მათ ანგისელ აფხაზებს უწოდებენ.

გარდა აღნიშნული გვარებისა წარსულში აჭარის ტერიტორიაზე უცხოვრიათ მთელ რიგ სხვა აფხაზურ გვართა წარმომადგენლებსაც, რომელთა წარმომავლობა ძირითადად „დიდი აფხაზეთიდან“ უნდა მომდინარეობდეს. ესენია: აბრას, ადლეიბა*, ამაბა, აკიმ-იფა, აჩბა, აძუხბა, გურამგაა, დელბა, ტუჟბა, ქაფბა, ჩაჩბა, ჯიშვბა, ჩეჩერიფა, ქართბა, ბლაჟვბა, ქემალ-იფა, ლოშბა, მაან, მარშან, დაკრბა, გაბლია, ქეცბა, ჩუაზ, ლოლუა, წვიჟბა, ლამკათ-იფა, შინქუბა. ჩამოთვლილ გვართაგან ზოგიერთი ამჟამად არა თუ აჭარაში, აფხაზეთშიც აღარ გვხვდება.

* გვარსახელთან ადლეიბა უნდა იყოს დაკავშირებული სოფლის სახელწოდება ადლია (ხელვაჩაურის რ-ნი, კახაბრის ს/საბჭო). აფხაზურ ენაზე „ადლაა“ მრავლობით რიცხვშია და მისი ქართული თარგმანი იქნება „ადლეიბები“. ჩვენი ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გასულ საუკუნეში ადლეიბას გვარიდან რამდენიმე ოჯახს უცხოვრია თანამედროვე ადლიის ტერიტორიაზე.

„ჩერქეზ აფსუაას“ შთამომავალი. სოფ. მაჰმუდიე (ახლანდელი მნათობი), ხელვაჩაურის რ-ნი. XX ს. 20-იანი წლები.

აჭარაში მცხოვრებ აფხაზებს შორის საკმაოდ დიდ ჯგუფს წარმოადგენენ ე. წ. ჩერქეზ აფხაზთა შთამომავლები,

რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად სოფ. ფერიაში და ურეხის სასოფლო საბჭოს სხვა დასახლებულ უბნებში ცხოვრობენ. აქაური აფხაზების გვართა წარმომავლობის შესახებ შეკრებილი მასალების მიხედვით ირკვევა. რომ მათ თავდაპირველ მხარეს საძენი წარმოადგენდა, ანუ იგივე „მცირე აფხაზეთი“, რომელიც ქართულ წერილობით წყაროებში ჯიქეთის სახელწოდებითაა ცნობილი, ხოლო აქ მცხოვრებნი — ჯიქების სახელით. აღნიშნული მხარედან გადმოსახლებულები თავიანთ თავს ხალწისელებსაც (ხალწისაა) ეძახიან. მთხრობელთა გადმოცემით, ხალწისი საკმაოდ დიდი მხარე იყო და იგი აფსნიში (აფხაზეთი) შედიოდა. ცნობილი აფხაზი ეთნოგრაფი ს. ზვანბა გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილ ერთ-ერთ სტატიაში საძენისა და საძების შესახებ წერდა: „აფხაზეთიდან“* და ფსხუდან ჩრდილო-დასავლეთით ცხოვრობს ხალხი, რომელიც თავის თავს ხალწისს უწოდებს და აფხაზებში ცნობილია ასაძქუას, ხოლო ქართველებში ჯიქების სახელით. მათ მიწა-წყალს აფხაზები საძენს ეძახიან. ამათი ტერიტორია ზღვის ნაპირით მდ. ხამიშამდე გრძელდება, რომელიც მდებარეობს მდინარეების აგურასა და ხოსტას შორის. ჩრდილოეთით ჯიქების მიწა აღწევდა კავკასიის დათოვლილ ქედამდე.[77] შემდეგ ამისა ავტორი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ საძები ლაპარაკობენ აფხაზური ენის თავიანთ კილოზე. საძების აფხაზურ წარმომავლობაზე სხვადასხვა დროს წერდნენ ევროპელები, ი. გიულდენშტედტი. თ. ტორნაუ, პ. უსლარი, დ. ბაქრაძე, ნ. დუბროვინი და სხვ. საძების აფხაზურ ეთნიკურ წარმომავლობას კიდევ ერთხელ ადასტურებს აჭარაში მცხოვრებ „ჩერქეზ აფხაზთა“ შესახებ შეკრებილი საველე-ეთნოგრაფიული მასალებიც.

---

* ავტორი „აფხაზეთის“ ცნებაში ამ შემთხვევაში გულისხმობდა აფხაზეთის სამთავროს პოლიტიკურ საზღვრებს XIX ს. პირველ ნახევარში, ხოლო ეთნიკური საზღვარი, როგორც ცნობილია, საკმაოდ ფართო იყო.

77 **С. Т. Званба,** Абхазские этнографические этюды. Составитель, автор биографобиблиографического очерка и ответственный редактор Г. А. Дзидзария, Сухуми, 1982, с. 6.

აფხაზი ქალიშვილები, ბათუმი. XX ს. 20-იანი წლები.

საძები იყოფოდნენ ზღვისპირა და მთის საძებად. ზღვისპირა საძენი რამდენიმე ოლქად, ანუ ზოგიერთი ავტორის მიხედვით, „რესპუბლიკად“ იყოფოდა, რომლებსაც ფეოდალთა გვარები (გეჩბა, ცანბა, არდბა (არედბა) და სხვ.) ედგნენ სათავეში. მთის საძებს მიეკუთვნებოდნენ აიბგელები, ახჩიფსუელები და ჩუჟგუჩელები, რომლებიც მედოველთა სახელწოდებითაცაა ცნობილი და მარშანთა ძლიერ ფეოდალურ გვარს ემორჩილებოდნენ. ზოგი ავტორი ფსხუელებსაც საძებს აკუთვნებდა.

მუჰაჯირობის პერიოდში საძების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფის აჭარაში დასახლებაზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ აჭარის აფხაზთა რამდენიმე ათეული გვარის წარმომავლობა საძენის სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებს მა-

გალითად, გაგრა, გაგრიფშ, ცანდრიფშ (ახლანდელი განთიადი), ჩუგრიფშ, გეჩრიფშ, მიქალრიფშ, ადლერ, კუდურხვა, კუდეფსთა, კუჯაა-აშთა და სხვ. უკავშირდება. აი, ეს გვარებიც: აბდიბა, ათრუშბა (ათირშბა), ავეჯბა (აჟვეჯბა), აცანბა, აშმეიბა, აეგბა, აკუჯბა, კარაკეჯბა, კუდბა, გეჩბა, კშინდბა, აჩუგბა, პაპბა, აკვაძბა, სმირბა, მუსხაჯბა (მუშვბა), კაიტანბა, ჩინბა, მიქალბა, აიქუცბა, აშბა, ასაძბა, და სხვა. გარდა ამისა მთხრობელთა მეხსიერებამ კარგად შემოინახა საძენიდან მომავალი ის გვარებიც, რომელთა წარმომადგენლები ადრე ცხოვრობდნენ აჭარაში. ესენია: არდბა (არედბა), არინდბა, არჭვბა, აკშბა, ახეიბა, აფშიცბა, აილისირბა, არიმბა, ხაკუშაა, მაჟარა, ფსარდია, სამანბა, აპაპათ, ასმეიხუა, ლუსბა, ჰაჭეიფა და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილ გვართა უმეტესობის შესახებ ძირითადად ზეპირი გადმოცემების საფუძველზე გვიხდება საუბარი. მაგრამ მათ შორის არის რამდენიმე გვარი, განსაკუთრებით მაღალი წოდებისა, რომელთა შესახებ მასალები ლიტერატურულ წყაროებშიც არის დაცული. მაგალითად, საძთა ეთნოგრაფიულ ჯგუფში ასეთ გვარებს განეკუთვნებოდნენ აცანბა (იგივე ცანბა, ცანდბა), გეჩბა, არდბა (არედბა) და სხვ. ყველა ესენი ფეოდალთა კლასს მიეკუთვნებოდნენ და, როგორც ზემოთ აღინიშნა, საძენის ზღვისპირა ტერიტორიებზე სახლდებოდნენ. აღნიშნულ გვარებს ჯერ კიდევ XVII ს. პირველი ნახევრის ცნობილი თურქი ავტორი ევლია ჩელები თავის „მოგზაურობის წიგნში“ იხსენიებს ჩ ა ნ დ ე ბ ი ს, გ ე ჩ ი ე ბ ი ს და ა რ თ ი ს ტომების სახელწოდებით.[78] ჩელებისეული სიტყვა „ტომის“ ქვეშ, როგორც მართებულადაა თანამედროვე ლიტერატურაში მიღებული, იგულისხმება ცან/დ/ბას, გეჩბას და არდბას ქვეშევრდომი მოსახლეობა. ცანბას გვართანაა დაკავშირებული ამავე ნაშრომში მოხსენიებული ნავსადგური ჩ ა ნ დ ა, რომელიც იგივე ცანდრიფში უნდა იყოს. ხოლო არბდას გვარს უკავშირდება ახლანდელი ადლერის ეტიმოლოგია. კერძოდ, თურქები არბდას გვარს

78 ევლია ჩელებას მოგზაურობის წიგნი. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვეთი I, თბ., 1971, გვ. 100-101.

„ბზიფაა აფსუაას“ უხუცესი წარმომადგენელი. სოფ. ანგისა, ხელვაჩაურის რაიონი (XX ს. 60-იანი წლები).

დამორჩილებული ტერიტორიის მოსახლეობას ა რ დ ლ ე რ ს უწოდებდნენ. ამ სიტყვაში „არდ“ გვარის ფუძეა, ხოლო „ლერ“ კუთვნილების აღმნიშვნელი თურქული სუფიქსი.

ამდენად, „არდლერის“ ქართული თარგმანი იქნება „არდბები“, ანუ ზუსტი მნიშვნელობით არდბას გვარის ქვეშევრდომი მოსახლეობა, რომელიც ცხოვრობდა დღევანდელი ადლერის ტერიტორიაზე.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ მუჰაჯირობის წინა პერიოდის სხვადასხვა სახის წერილობით წყაროებში აღნიშნულ საძთა გვარებს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთით იმავე თანმიმდევრობით (ცანბა, გეჩბა, არდბა) ეჭირა ზღვისპირა ტერიტორია როგორც ევლია ჩელების ნაშრომშია მოხსენიებული. მუჰაჯირობამდელი დროის წერილობით ცნობებში ვხვდებით აგრეთვე წარჩინებულ პირთა საკუთარ სახელებს ზემოხსენებული გვარებიდან. ზოგიერთი მათგანი აჭარის აფხაზთა მეხსიერებაში ღღესაც არის შემორჩენილი. ესენია რეშიტ გეჩბა, ბათალბეი გეჩბა, ახმედ არდბა, ერიდბეი აცანბა და სხვ. ამათ შორის და საერთოდ მუჰაჯირობის პერიოდის საძებს შორის ყველაზე ცნობილი პიროვნება რეშიტ გეჩბა იყო. ეს, სწორედ, ის რეშიტ გეჩბაა, რომელმაც საძების სახელით 1864 წლის მარტში თხოვნით მიმართა რუსეთის არმიის სარდლობას, რომ არ აეხალებინათ საძენის მოსახლეობა მშობლიური მიწა-წყლიდან. მაგრამ თხოვნამ არ გაჭრა და იგი სხვა მუჰაჯირებთან ერთად, აღმოჩნდა თურქეთის ტერიტორიაზე. მართალია, იგი მალე ბრუნდება ბათუმში, შემდეგ აფხაზეთში, მაგრამ 1877 წელს თურქებმა ტყვედ შეიპყრეს და კვლავ ოსმალეთში წაიყვანეს. ამ გვარის მეორე წარმომადგენელი ბათალბეი, ახმედ არდბასთან და ერიდბეი აცანბასთან ერთად ბათუმში გადმოსახლებულ საძთა წინამძღოლებად ითვლებიან. ახმედ არდბა, ახმედ ბეგ არდიას სახელით გაზ. „დროების“ 1882 წლის 16 იანვრის ნომერშიც ფიგურირებს. ეჭვი არ არის, რომ არდია არდბას სახელშეცვლილი ფორმაა. მით უმეტეს, რომ იგი „ბეგად“ და ბათუმელ აფხაზთა ერთ-ერთ წინამძღოლად არის მოხსენიებული.

აფხაზურ გვართა წარმომავლობის შესახებ შეკრებილი მასალები ნათლად მეტყველებენ, რომ ბზიფის აფხაზებში ვიწრო გაგებით იგულისხმება თანამედროვე გუდაუთის რაიონის სოფლებიდან გადმოსახლებული მოსახლეობა, ფართო გაგებით კი — მდ. ბზიფსა და ენგურს შორის მდებარე ტერი-

ტორიიდან გადმოსახლებული მუჰაჯირობა. ხოლო ჩერქეზი აფხაზები წარმოშობით არიან მდ. ბზიფსა და სოჭს შორის მდებარე მხარიდან.*

სადაურობასთან ერთად ეჭვს არ იწვევს ჩერქეზი აფხაზების, იგივე საძების ეთნიკური კუთვნილება. ტერმინების საძების, ჯიქების და ჩერქეზი აფხაზების ცნებებში იგულისხმება აფხაზთა ერთი და იგივე ეთნოგრაფიული ჯგუფი. მაგრამ იმის გამო, რომ საძები ერთი მხრივ, აფხაზეთის სამთავროს საზღვრებში არ შედიოდნენ, ხოლო მეორე მხრივ, ჩერქეზებთან და უბიხებთან ისტორიულად მჭიდრო ეკონომიკურ, კულტურულ და სამხედრო-პოლიტიკურ კავშირში იმყოფებოდენ. აფხაზეთის სამთავროდან აჭარაში გადმოსახლებულები საძ. მუჰაჯირებს ჩერქეზ აფხაზებს (ჩერქეზ აფსუაა) უწოდებდნენ, ხოლო საძები დანარჩენი აფხაზეთის მოსახლეობას — „ბზიფის აფხაზებს“ (ბზიფაა აფსუაა).

ამგვარად, ლიტერატურული და საველე-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ აფხაზების დასახლება აჭარაში უკავშირდება იმ ძნელბედობის ჟამს აფხაზი ხალხის ისტორიაში, რაც ლიტერატურაში მუჰაჯირობის სახელწოდებითაა ცნობილი. აფხაზთა მშობლიური მიწა-წყლიდან აყრა-გადასახლება ძალდატანებით ხასიათს ატარებდა, რაც რუსეთისა და ოსმალეთის ხელისუფალთა აგრესიული პოლიტიკით აიხსნებოდა. ამ სახელმწიფოებმა, მიუხედავად მათ შორის ისტორიულად არსებული წინააღმდეგობებისა, გამონახეს საერთო ენა აფხაზი და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის სხვა ხალხების სამშობლოდან გადასახლების საკითხში. მათგან თითოეულს, ბუნებრივია, საკუთარი მიზნები ამოძრავებდა.— რუსეთს კავკასიის კოლონიზაცია აინტერესებდა, ოსმალეთს კი კავკასიელ მთიელთა თავის სახელმწიფოში დასახლებით პოლიტიკური ხელისუფლებისა და სამხედრო ძლიერების განმტკიცება.

აფხაზები აჭარაში ძირითადად მე-19 ს. 60-70-იან წლებში დასახლდნენ, ისინი აქ მოდიოდნენ როგორც საკუთრივ აფხაზეთიდან, ისე ოსმალეთიდან. სულთანის ხელისუფლება ემიგრანტებს სხვადასხვა სახის შეღავათებს სთავაზობდა, რათა ისინი მტკიცედ დამკვიდრებულიყვნენ სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან რუსეთ-ოსმალეთის ამ საზღვრისპირა ოლქში.

მასალების წინააღმდეგობრივი ხასიათის მიუხედავად ცხადი ხდება, რომ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წ.წ. ომამდე აჭარაში აფხაზური მოსახლეობა საგრძნობლად მეტი იყო, ვიდრე ომის დამთავრების შემდეგ. მათი ერთი ნაწილი აჭარაში რუსეთის ჯარის შესვლის დროს გადასახლდა ოსმალეთში, ნაწილი კი რუსი ჩინოვნიკების უსამართლო დამოკიდებულებამ იძულებული გახადა მიეტოვებინა აქაურობა და, რადგან აფხაზეთში დაბრუნების უფლება არ ჰქონდა, კვლავ ოსმალეთის იმპერიაში გადასახლდა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ მისცა საშუალება აჭარაში დარჩენილ აფხაზებს მტკიცედ დაფუძნებულიყვნენ აქ და ქართველ და სხვა მოძმე ხალხთან ერთად ეშენებინათ ნათელი მომავალი.

---

* გამორიცხული არ არის, რომ „ჩერქეზ აფხაზებს“ შორის საკუთრივ ჩერქეზეთიდან გადმოსახლებული აბაზებიც ყოფილიყვნენ.

ავტორის შენიშვნა:
ფოტოები გვ. 8, 13, 14, 17, 18 აღებულია გ. ძიძარიას წიგნიდან,

აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა გვარები

გვარი	საცხოვრებელი ადგილი	
	ქალაქი	სოფელი*
1	2	3
აბაბაკო	—	ანგისა
აბღიბა (აბიდბა)**	ბათუმი	ქვედა სამება
აგიბა (ეგბა)	—	ანგისა
აგირბა (აგრბა)	ბათუმი	„
აგუმბა (გუმბა, აგუმაა).	„	ანგისა, მინდა
აკეჯბა (აქვეჯბა)	„	ქვედა სამება
ავხატი (აუხატ)	„	ფერია
აეგბა (ევბა)	—	„
ატრუშბა (ათირშბა)	—	ქვედა სალიბაური ანგისა
აიოზბა (აიუძბა)	ბათუმი	მნათობი, ფერია
აიქუცბა	„	ფერია, ქვედა სალიბაური
აკვაზბა (კუაძბა)	„	ჭარნალი
აკუჯბა (კუჯბა)	„	ქვედა სამება
ალხორბა	„	—
ანანბა (ნანბა)	„	მინდა
ანკუბაია (ანქუაბ)	ბათუმი	—
აქიბა (ქიბა)	—	მინდა, ანგისა, ხელვაჩაური (დაბა)
არგუნ	—	ანგისა

* ცხრილში ჩამოთვლილი ყველა სოფელი შედის ხელვაჩაურის რაიონში.

** ფრჩხილებში ნაჩვენებია გვარის ადრინდელი ფორმა ან პატრონი-ქვედა სამება,

1	2	3
არისთავა (არსთაა)	ბათუმი	ფერია
არსია	—	ანგისა
არშბა	ბათუმი	—
არძინბა (აძინბა)	—	ქვედა სამება, ქვედა სალიბაური
ასაძბა (საძბა)	ბათუმი	ქვედა სამება,
ასლან-ზადე (ხიბა)	„	—
აშამბა (შამბა)	„	ქვედა სამება, ახალშენი
აშბა	„	მნათობი, ქვედა სალიბაური
აშლარბა (შლარბა)	„	მინდა, ანგისა
აშმეიბა (შვმეიბა)	„	მნათობი
აჩუგბა (ჩიგუბა)	—	„
აცამბა (ცანბა)	ბათუმი	ანგისა
აციმბა	„	ჭარნალი
აცუგბა (ციგუბა)	—	ფერია
აჯიბა (ჟიბა)	—	ურეხი
ბასნიკ-იფა	—	ფერია
ბედია (ბადია)	ბათუმი	—
ბეზინბა ((ბალზინ-იფა)	„	—
გამსანია	—	ანგისა
გეჩბა	ბათუმი	—
გეჩბაია (გეჩბა)	„	ანგისა
ემინ-ზადე	„	ახალშენი
ზვანბაია (ზვანბა)	„	—
ზუხბაია (ზუხბა)	„	—
თარბა	„	—
თოფჩ-იფა	—	ანგისა, მინდა
იაზიჯბა	ბათუმი	—
კაიტამბა (ყაიტანბა)	„	ფერია, ადლია
კარაკეჯბა	—	ქვედა სალიბაური
კიტაზბა (მარშან)	ბათუმი	ადლია
კეფალბა	„	—
კიშლიბა	„	—
კოლბაია (კოლლბა)	„	—
კოსტიმბა (კოსტ-იფა)	„	—
კოძბა (კუაძბა)	„	—

1	2	3
კუდბა	ბათუმი	მნათობი, ქვედა სალიბაური
ლაზბა	„	—
ლეიბა	„	—
მაიბა	—	ანგისა
მილალბა	ბათუმი	—
მიქალბა	„	—
მურადბა	„	—
მუსხაჯბა (მუშკბა)	„	მნათობი, ფერია
მოლ-ოგლი	—	ქვედა სალიბაური
ნაიმბა	—	ანგისა
ნაკაშია	ბათუმი	„
ნაყოფია	„	„
პამბა (პაპბა)	—	მნათობი, ფერია
რეიზბა	ბათუმი	—
საათჩ-იფა	„	—
საკუდბა	—	ანგისა
სელიმბა	ბათუმი	კახაბერი, ანგისა
სმირბა (სმირ)	„	მნათობი, ხელვაჩაური
ტანტიბა	„	—
ტატარბა	„	—
ფშანავა (ფშანაა)	„	ანგისა
ქათიბა	„	„
ქაფბა	—	„
ქორქია	ბათუმი	—
ქუთელია	„	ანგისა
შარაშიძე (შერვაშიძე-ჩაჩბა)	„	[illegible]
შუშანიძე (შუშანია)	„	ადლია
ჩაზმავა (ჯიზმაა)	„	ანგისა
ჩამბა	ბათუმი, ქობულეთი	იანთიადი, ჩელტა
ჩაუშბა (არძინბა)	ბათუმი	ურეხი
ჩინბა	„	—
ჩურუგბა (ჩირგბა)	„	ანგისა
ციცბა (ციმცბა)	—	„
წუზბა (წვიჯვბა)	ბათუმი	—

1	2	3
ჭათანავა (ჭათანაა)	—	ანგისა
ჭოლოკავა (ჭოლოყვა)	ბათუმი	მნათობი
ხალვაში (ჰალუაშ)	„	ფერია
ხალითბა (ხიშბა)	„	განთიადი
ხაშიმბა	„	—
ხაჯ ბა	„	—
ხიბა	„	—
ხიბაია (ხიბა)	„	ანგისა
ხოხბა	„	მნათობი
ჯინჯბა	„	ანგისა

აფხაზთა გვარები, რომელთა წარმომადგენლები ადრე ცხოვრობდნენ აჭარაში

აბრას	ეკბა
ადლეიბა	კიძბა
ავიძბა	ლაკრბა
აილისირბა	ლამკაჯ-იფა
აკიმ-იფა	ლოლუა
აკშბა	ლოშბა
ამაბა	ოფსბა
აპაპათ	მაან
არასქუა	მადბა
არდბა (არედბა)	მაკარა
არინდბა	მათარბა
არიმბა	პიმპია
არჭვბა	სამანბა
ასმეიხუა	ტუჯბა
აფშიცბა	ფსარდია
აჩბა	ქარდბა
აწისხუა	ქემალ-იფა
ახეიბა	ქეიბა
ბარას	ჩეჩერ-იფა
ბგანბა	ჩუაზ
ბუთბა	წვიჯბა
ბღაქვბა	ხაკუშაა
გაბლია	ჯიშიბა
გაბნია	შინქუბა
გურამგაა	ჰაჭეიფა
დელბა	



სქემა I. აშმეიბა (შვმეიბა), სოფ. მნათობი; ხელვაჩაურის რ-ნი.



სქემა II. პამბა (პაპბა), სოფ. მნათობი, ხელვაჩაურის რ-ნი.



სქემა III. აბდიბა (აბდბა), სოფ. ქვედა სამება, ხელვაჩაურის რ-ნი.



სქემა IV. აკუჯბა (კუჯბა), სოფ. ქვედა სამება, ხელვაჩაურის რ-ნი.



სქემა V. ამლარბა (შლარბა), სოფ. ანგისა, ხელვაჩაურის რ-ნი.



სქემა VI. ციცბა (ცომცბა), სოფ. ანგისა, ხელვაჩაურის რ-ნი.



სქემა VII. ჩურუგბა (ჩირგბა), სოფ. ანგისა, ხელვაჩაურის რ-ნი,



სქემა VIII. ხალითბა (ხიშბა), სოფ. განთიადი, ხელვაჩაურის რ-ნი.

Т. А. АЧУГБА

ПОСЕЛЕНИЕ АБХАЗОВ В АДЖАРИИ

РЕЗЮМЕ

В труде на основе литературных данных и полевых этнографических материалов рассмотрены причины, время и условия поселения абхазов на территории Аджарии.

Выясняется, что в Аджарии абхазское население появилось в первой половине XIX столетия. Однако, основная масса их поселилась здесь в 60—70-ых годах прошлого века. В указанный период происходит массовое переселение кавказских народов, в том числе и абхазов, в Османскую империю.

Оказавшиеся жертвами колониальной политики царизма, изгнанные из родных мест абхазы, в разное время и разными путями оказались в Аджарии. По имеющимся литературным и полевым этнографическим данным значительные группы переселенцев-абхазов появляются в Аджарии в 1862—1864 годах, а также в 1866—1867 гг. и во время русско-турецкой войны 1877—1878 гг. Примечательно, что абхазы в Батуми направлялись не только непосредственно из Абхазии, но и возвращаясь из Турции, в надежде на то, что через Батуми переберутся в Абхазию, но не получив такого разрешения от турецких, а позднее с 1878 г. русских властей, вынуждены были остаться жить в Аджарии. Поселение абхазов в Аджарии непосредственно связано с окончанием кавказской войны и упразднением абхазского княжества (1864 г.), крестьянским восстанием в Абхазии 1866 г. и русско-турецкой войны 1877—1878 гг..

Осевшие в Аджарии махаджиры-абхазы являлись уроженцами разных этнографических регионов Абхазии, среди которых сравнительно многочисленными были садзы, бзыбцы и абжуйцы. Кроме них прослеживаются отдельные группы переселенцев из Гумы, Цебельды и Самурзакано. Переселенцев турки расселили в г. Батуми и близлежащих селах: Ангиса, Кахабери, Минда, Махмудие (Мнатоби), Ферия, Кведа Самеба, Гонио, Челта, Урехи, Чарнали, а также в Кобулети, Пичвнари, Цихисдзири, Чакви и др. Махаджирам были выделены в основном незаселенные и малозаселенные государственные земли т. н., «Эрази-мирие». Выделенные для них земельные участки разрешалось продавать после истечения 20-летнего срока, что создавало основу для перехода земельного участка в частную собственность. Если принять во внимание то, что в Аджарии во время османского владычества почти отсутствовали земельные участки в частной собственности т. н. « Мулки», то подобный порядок землевладения для махаджиров объясняется стремлением османского правительства закрепить эмигрантов на территории Аджарии.

Поселяя абхазов и представителей других народов Северо-Западного Кавказа (черкесов, убыхов и др.) в Аджарии, в этом важном в военно-стратегическом приграничном районе с Россией, османское правительство предполагало в случае новой русско-турецкой войны использовать эмигрантов против России. Однако, эти планы не оправдались. Махаджири-абхазы не приняли участия в войне против России. В дальнейшем в конце русско-турецкой войны 1877 — 1878 годов большинство здешних абхазов по вынуждению эмигрировало в Турцию, часть вернулась в Абхазию, а около полутора тысяч человек остались в Аджарии. Оставшиеся здесь махаджиры, особенно жившие в центре города Батуми, в 80—90-ых годах ввиду расширения города с перва были выселены на окраины города, а позже переселены в близлежащие деревни.

შინაარსი

აფხაზთა დასახლება აჭარაში 3
აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა გვარები 46
აფხაზთა გვარები, რომელთა წარმომადგენლები ადრე ცხოვრობდნენ აჭარაში 49
რეზიუმე 58

Ачугба Теймураз Алиевич
ПОСЕЛЕНИЕ АБХАЗОВ В АДЖАРИИ
(На грузинском языке)
Издательство «Сабчота Аджара»
Батуми, ул. Гогебашвили, 24
1988

Ь. 8. 549

გამომც. რედაქტორი ა. შონია, მხატვრ. რედაქტორი შ. მურვანიძე, ტექნ. რედაქტორი ნ. ჭყონია, კორექტორი გ. ფალავა, გამომშვები ჯ. ხოფერია.

გადაეცა წარმოებას 20.1.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.3.88, ქაღალდის ზომა 84×108 1/32, № 2, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 3,15, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2,88, პირობითი საღებავგატარება 3,36, შეკვ. № 241, ემ 01620, ტირაჟი 3.000

ფასი 60 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა", ბათუმი, გოგებაშვილის, 24

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, გორკის, 91.

Государственный комитет Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Полиграфическое производственное объединение Аджарской АССР. Батуми, ул. Горького, 91.